# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 166 (186) შაბათი, 24 აგვისტო, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## განცხადება

ამ დღეებში ეროვნული გვარდიის სახელით თბილისში გავრცელდა პროკლამაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას. კერძოდ, პროკლამაციის ავტორები ამტკიცებენ, თითქოს ხელისუფლებამ გვარდია „დაშალა", რაც უხეში ცილისწამება და პროვოკაციაა. სინამდვილეში გვარდია კი არ დაიშალა, მას მიეცა ახალი სტატუსი განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფისა, რაც შექმნილი მწვავე მდგომარეობის გამო აუცილებელი იყო გვარდიის დასაცავად საბჭოთა იმპერიული ჯარების მხრივ თავდასხმისაგან, რითაც არაორაზროვნად იმუქრებოდნენ სამხედროები იმ დღეებში; გარდა ამისა, ამგვარი რეორგანიზაცია გვარდიისა დაგეგმილი იყო გაცილებით უფრო ადრე.

ბრძანებულებაში გვარდიის დაშლა-გაუქმებაზე არაფერია ნათქვამი, ოღონდ გვარდიას სჭირდება ხელმძღვანელად პროფესიონალი სამხედრო გენერალი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, მასში არ იქნება წესრიგი და დისციპლინა, რითაც იგი შესაძლოა გადაიქცეს საზოგადოებისათვის საშიშ ძალად.

რამდენადაც გვარდია ექვემდებარება უშუალოდ პრეზიდენტს, მე მოვუწოდებ ჭეშმარიტ გვარდიელებს გადავიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში როგორც შინაგანი ჯარის წარმომადგენლები, მიიღონ ტაბელური იარაღი, დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და ემსახურონ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს და არა ცალკეული პირების გაუმართლებელ ამბიციებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 23 აგვისტო.

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა გაიმართება 1991 წლის 26 აგვისტოს, 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 8 საათსა და 30 წუთიდან.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 23 აგვისტო.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. კიტოვანის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** თენგიზ კიტოვანი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან, ხოლო ეს თანამდებობა გაუქმდეს. გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 23 აგვისტო.

## ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ გიორგის ძე ხატიაშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქინფორმი.

## სხვა გაზეთებიდან

# ბუშს მარტო ქართველები როდი აკრიტიკებენ

**ამერიკის** ფართო საზოგადოებრიობამ უკვე თითქმის სავსებით მიივიწყა საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ ბუშის ბოლო ვიზიტი, მაგრამ ამ მოგზაურობას შემდეგ კიდევ ერთ კვირას განიხილავდნენ ამერიკელი მიმომხილველნი და პოლიტოლოგები, რომლებიც ერთსულოვნად გამოთქვამდნენ აზრს, რომ სსრ კავშირის მიმართ ახლანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკაში მთელი რიგი სერიოზული კორექტივებია შეტანილი. ასეთი სტატიები თითქმის ყოველდღე იბეჭდება პრესაში.

კომენტარების მთელი სერია მოჰყვა კიევში ბუშის გამოსვლას და საქართველოს მთავრობის ამის შემდგომ განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „ვაშინგტონის, ჯეფერსონისა და ლინკოლნის მემკვიდრე" სამოკავშირეო ხელშეკრულების აგიტაციას ეწეოდა, და რიტორიკულ კითხვას სვამდა, იქნებ შესთავაზოს ბუშმა ქუვეითს ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ერაყთან. გაზეთმა „უოლ-სტრიტ ჯორნელმა" დაბეჭდა თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის უოლტერ მოსბერგის სტატია, რომელიც ასე იწყება: „ამერიკის შეერთებული შტატები, კოლონიის კლასიკური ნიმუში რომ წარმოადგინა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახლა მტკიცედ უჭერს მხარს პლანეტის ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი კოლონიური იმპერიის — საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას".

როგორც მოსბერგს განუმარტეს, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ბუში მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდა მოეწოდებინა მშვიდობიანი ცვლილებებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა კიევში, „რომ დამოუკიდებლობა თავისთავად არ იძლევა თავისუფლების გარანტიას, რომ შინგამოზრდილი ტირანები ისეთივე ცუდები შეიძლება გამოდგნენ, როგორც იმპერიული მმართველები, და რომ ეროვნული დამოუკიდებლობა ვერ იქნება სახელმწიფოებრიობის საფუძველზე". მაგრამ „ჯორნელის" კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „ხალხებისათვის, რომლებიც დიდი ხანია მოქცეული არიან რუსეთის იმპერიაში, ახლა კი ცდილობენ მოიპოვონ დამოუკიდებლობა, ბუშის სიტყვა გაისმა როგორც საბჭოთა პოლიტიკურ ასპარეზზე კოლონიალისტების მხარდასაჭერი გამოხდომა". როგორც მოსბერგმა თქვა, ამას შეიძლება მოჰყვეს ისიც, რომ სსრ კავშირის ადგილზე წარმოქმნილი ქვეყნები, თუ მას დანგრევა უწერია, ამერიკის მიმართ „მტრულად" იქნებიან განწყობილი. მოსბერგი ერთი იმ ამერიკელ მიმომხილველთაგანი იყო, რომელსაც ფართოდ მოჰყავდა ციტატები საქართველოს მთავრობის განცხადებიდან, ბუში რომ დაგმო მისი კიევის სიტყვისათვის.

სხვა მიმომხილველებმა, რომლებიც განმარტავენ ქართველების განცხადებას — როულენდ ევანსმა და რობერტ ნოვაკმა, — შენიშნეს, რომ ახლა კონგრესს არდადეგები აქვს, ამიტომაც ბუშს ცოტა მოხვდა სსრ კავშირში თავისი გამონათქვამებისათვის. მაგრამ სექტემბრის დამდეგს კონგრესმენები დაბრუნდებიან ვაშინგტონში, და მაშინ თეთრ სახლს კრიტიკის ნამდვილი გრიგალი დაატყდება თავს. ევანსი და ნოვაკი იხსენებენ თეთრი სახლის პოზიციის უცაბედ შეცვლას იუგოსლავიის საკითხში: თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა იუგოსლავიის მთავრობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც სლოვენიასა და ხორვატიაში სისხლი დაიღვარა, ვაშინგტონმა დაიწყო განცხადებების გაკეთება, რომ მიიღებს ნებისმიერ ვარიანტს, მათ შორის იუგოსლავიის დაშლას, ოღონდ კი ყველაფერი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს. როგორც მიმომხილველნი შენიშნავენ, ამან ბალტიისპირელებს, ქართველებს და დამოუკიდებლობის სხვა მომხრეებს უნდა შეუქმნას იმის სრული საწინააღმდეგო შთაბეჭდილება, რასაც ქადაგებს ვაშინგტონი: უნდა გამოვიყენოთ ძალა, დავდგეთ ნამდვილი ომის ზღვარზე, და მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს ჩვენს დამოუკიდებლობას! გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში" ბუში დაგმო ნობელის პრემიის ლაურეატმა პოეტმა ჩესლავ მილოშმა. „ჭეშმარიტება, ეს დღის უკვე ბანალობაა, მაგრამ იგი უნდა გავიმეოროთ, — წერდა მილოში. — საბჭოთა კავშირი შექმნა ტოტალიტარულმა პარტიამ, რომელსაც ბრალი მიუძღვის კაცობრიობის წინააღმდეგ ენით აუწერელ დანაშაულობებში, და ამ დანაშაულისაგან გატანჯული ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებელი არსებობისაკენ სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ".

მიმომხილველი ჯორჯ უილი ბუშს არ ეხება, მაგრამ მოუწოდებს, რომ გადაჭარბებით ნუ შეაფასებენ „გარდაქმნის" მიღწევებს (შენიშნა ვინმემ, რამდენად იშვიათად გვხვდება ახლა ეს ოდიოზური ტერმინი?). იგი, მაგალითად, წერს, რომ 1971 წელს „პრავდაში" გამოჩნდა სტატია, რომელშიც ირწმუნებოდნენ, თითქოს ომის დროს არსებობდა შეთქმულება სიონისტებსა და ნაცისტებს შორის, და აღნიშნავს, რომ ამ სტატიის ავტორი ახლა მუშაობს პარიზში „პრავდის" კორპუნქტში. „ესეც თქვენი გარდაქმნა", — შენიშნავს უილი.

მიმომხილველის ყურადღება მიიპყრო სხვა მომენტმაც: კომენტარს უკეთებს რა ლაზარ კაგანოვიჩის სიკვდილს, უილი წერს, რომ „კაცი, რომელიც სტალინს ემსახურებოდა ისე, როგორც მარტ ბორმანი ჰიტლერს, გარდაიცვალა ძილში, იყო პენსიაზე, ცხოვრობდა შესანიშნავ ბინაში".

სსრ კავშირში მიღწეული პროგრესის შესახებ უფრო თავშეკავებული მოწოდებანი გაისმა გასულ კვირას გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ლიბერალური მიმომხილველის ჯიმ ჰოუგლენდისაგან, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში კონვერსია ჯერჯერობით გაჭიანურებულია; „დასავლეთის იმედი, რომ საბჭოთა სამხედრო ხარჯები მკვეთრად და განუხრელად შემცირდება, საბჭოთა სატანკო ქარხნები კი სიხარულით და საქმიანად გადავლენ სარეცხი მანქანების და ტრაქტორების წარმოებაზე, ილუზია აღმოჩნდა, — წერს ჰოუგლენდი. — სამხედრო საწარმოთა კონვერსიის გეგმები, რომლისთვისაც მიხეილ გორბაჩოვმა ლონდონში ფული სთხოვა შვიდეულს, მხოლოდ ოდნავ თუ შეირხა.

როგორც მიმომხილველი შენიშნავს, „კონვერსია" ჯერჯერობით შეეხო თითებზე ჩამოსათვლელ სამხედრო საწარმოებს, რომლებიც ახლაც უშვებენ ჩინებულ ტანკებს და სამხედრო თვითმფრინავებს, იმავდროულად კი აკეთებენ საშუალო ტრაქტორებს და სარეცხ მანქანებს".

„ნოვოე რუსკოე სლოვო".
20 აგვისტო

## რწმენა

# საჩუქრად სოფლის ეკლესიას





**მრავალი** წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეკლესიის ნგრევა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვში. ადგილობრივი მეურნეობის ხელმძღვანელის თევდორე ამირიძისა და მისი თანამოაზრეების ინიციატივით დაიწყო სახსრების შეგროვება სოფლის ეკლესიის აღსადგენად.

და აი დადგა საზეიმო წუთები. წირვა აღასრულა საბერძნეთიდან ჩამოსულმა მამა გიორგიმ. მანვე აკურთხა ეკლესიაც.

სოფლის ეკლესიის გახსნაში მონაწილეობდა საბერძნეთის ახალგაზრდობის დელეგაცია. ცოლ-ქმარმა ხრისტიდებმა საჩუქრად ჩამოიტანეს დიდი საეკლესიო ზარი. სწორედ მისმა ხმამ აუწყა მორწმუნეთ წირვის დაწყება.

**სურათებზე: რესტავრირებული ეკლესია სოფელ დაგვში; საბერძნეთიდან ჩამოტანილმა საეკლესიო ზარმა მრევლს აუწყა წირვის დაწყება სოფლის ეკლესიაში; ბერძენი მღვდელი მამა გიორგი მორწმუნეთა შორის; სოფლის ეკლესიის გახსნის დროს.**

**ზია სამსონიას და გიორგი ზარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## დღეს—ხვალისათვის

# ეკონომიკური მეცნიერება ერის სამსახურში

**როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს მიენიჭა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ამ ინსტიტუტის დირექტორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს ვლადიმერ პაპავას.**

**— ბატონო ვლადიმერ, რამდენიმე სიტყვით გვითხარით ინსტიტუტისათვის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელის მინიჭების ფაქტის შესახებ...**

— აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი სამართლიანად ითვლება საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად. იგი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც 1940 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და პირველად ეკონომისტებს შორის, 1960 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. პაატა გუგუშვილი ხუთასამდე ნაშრომის ავტორია, რომლებიც ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკის ისტორიის, სტატისტიკის, ჟურნალისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა პრობლემას. მისი თაოსნობით 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც თავად თავკაცობდა დაარსებიდან 1976 წლამდე. შემდეგ კი, გარდაცვალებამდე, ამ ინსტიტუტში სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილების ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შარშან შესაბამისი პროფილის ცენტრი შეიქმნა, რომელიც წლეულს გადაკეთდა ინსტიტუტად, რისთვისაც სიცოცხლის ბოლო წლებში ასე იღწვოდა აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი.

ჭეშმარიტად ქართველი მეცნიერი თავისი შემოქმედებით ყოველთვის ცდილობდა მდგარიყო ეროვნულ ნიადაგზე. ამდენად, მის მიერ დაარსებული ინსტიტუტისათვის მისი სახელის მინიჭება, რაც ინსტიტუტის კოლექტივის თითქმის ერთსულოვანი მოთხოვნის შედეგად მოხდა, ამ კოლექტივის მიერ აღიქმება, როგორც ინსტიტუტის ძირეული შემობრუნება ეროვნული პრობლემების კვლევისაკენ.

**— რას გვეტყვით ინსტიტუტში განხორციელებული სიახლეების თაობაზე?**

— უწინარეს ყოვლისა, ინსტიტუტში ძირეულად შეიცვალა სტრუქტურა. ჩამოყალიბდა ოთხი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს განყოფილებებსა და ლაბორატორიებს. კერძოდ, თეორიულ მიმართულებაში შედის თეორიული ეკონომიკის, ეკონომეტრიკის და ეკონომიკური განვითარების განყოფილებები. ისტორიულ მიმართულებაში — საქართველოს ეკონომიკური ისტორიის და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებები, საბაზრო-ეკონომიკურ მიმართულებაში — მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის და საფინანსო-საკრედიტო და საბანკო სისტემის განყოფილებები, ხოლო გეო-ეკონომიკურ მიმართულებაში — აგრარული ეკონომიკის, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის და რეგიონალური ეკონომიკის განყოფილებანი. ინსტიტუტში შეიქმნა საგარეო-ეკონომიკური კავშირების ლაბორატორია, რომელიც, ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ამ სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ საშუალება მოგვცა, მთელ რიგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაგვეწინაურებინა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რის შედეგადაც, ჩვენი აზრით, მივაღწიეთ ასაკოვან მეცნიერთა გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერგიის უფრო უკეთეს შეხამებას. განახლდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოც. საბჭოს სრულუფლებიანი წევრის სტატუსთან ერთად, შემოვიღეთ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლების მქონე საბჭოს წევრის სტატუსიც. ეს საშუალებას მოგვცემს, საბჭოს მუშაობაში უფრო აქტიურად ჩავაბათ ნიჭიერი ახალგაზრდობა.

**— რამდენი ხანია, რაც ინსტიტუტს ჩაუდექით სათავეში?**

— ინსტიტუტის კოლექტივმა ინსტიტუტის დირექტორად ამირჩია წლეულს, მარტში, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ — ივნისში.

**— რა ამოცანები დგას დღეს ქართული ეკონომიკური მეცნიერების წინაშე?**

— დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოს ესაჭიროება თვისებრივად განახლებული ეკონომიკა, რისი მიღწევაც პრინციპულად შეუძლებელი იქნება, თუ საზოგადოებაში არ დამკვიდრდა საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ეკონომიკური აზროვნების სტილი. მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა პერიოდში ეკონომიკაში, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, გაბატონებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რამაც ეკონომიკური მეცნიერება, როგორც ასეთი, ფაქტობრივად გააქრო კიდეც. დღეს, აუცილებელია შემოქმედებითად ავითვისოთ მსოფლიო ეკონომიკური აზრის მიღწევები, ჩავერთოთ ეკონომიკური აზრის განვითარების მსოფლიო პროცესში. ამ მიმართულებით, კი გადამწყვეტი სიტყვა საქართველოში სწორედ აკადემიურმა ეკონომიკურმა ინსტიტუტმა უნდა თქვას, რამეთუ სწორედ მას ეკისრება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრობლემების კვლევის ამოცანა. ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას საბაზრო სტრუქტურების შექმნის მრავალი გამოყენებითი ხასიათის ამოცანაც, რომელთა გადასაწყვეტად კვლევა მიმდინარეობს როგორც ჩვენს ინსტიტუტში, ისე ეკონომიკური პროფილის სხვა ინსტიტუტებში და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე. ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევის სხვადასხვა მიმართულებები გაერთიანებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და მისი დამკვიდრების პრობლემათა საფუძველზე, რადგან ეკონომიკას რაიმე კონსტრუქციული ალტერნატივა დღეისათვის არ გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებები არიან ურთიერთშემავსებელნი და პარალელიზმს, როგორც ასეთს, ადგილი არა აქვს.

**— რას იტყვით თქვენი ინსტიტუტის თანამშრომლობაზე საქართველოს ხელისუფლებასთან?**

— საქართველოს სრული სუვერენიტეტის აღდგენა წარმოუდგენელია ეკონომიკური პრობლემების სათანადო დონეზე გააზრებისა და გადაწყვეტის გარეშე, რაც, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს გაცნობიერებული. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმისა და საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივ კომისიებთან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიასთან, ექსპერტიზას ვუწევთ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის კანონპროექტებს. ჩვენს ინსტიტუტში შემუშავდა „საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია", რომელიც ამ წლის დასაწყისში გადაეცა საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად არის მზად, იღვაწოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ჰქონდეს აქტიური მონაწილეობა ეკონომიკის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

**— რომელი პრობლემაა დღეისათვის ყველაზე მტკივნეული თქვენი ინსტიტუტისათვის?**

— ეს გახლავთ ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც არათუ დღევანდელ, გუშინდელ მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს. შენობა ავარიულია, მიწისძვრებმა ის კიდევ უფრო დააზიანა. თანამშრომლებს არ ჰყოფნით სამუშაო ადგილები, გვესაჭიროება თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, დამეთანხმებით, რომ ჩამოთვლილ პრობლემათაგან ბევრი დამახასიათებელია სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისთვისაც. ასე რომ, ამ მხრივ, ჩვენ გამონაკლისი არ ვართ...

**— ცნობილია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება ცენტრიდან ხდება. გასაგები მიზეზების გამო, ამ უკანასკნელმა, უახლოეს მომავალში შეიძლება დაფინანსება შეწყვიტოს. ხომ არ გახდება იგი თქვენი ინსტიტუტის მოღვაწეობის შეწყვეტის საფუძველი?**

— ის, რომ ცენტრი, უახლოეს მომავალში შეწყვეტს საქართველოს აკადემიური მეცნიერების დაფინანსებას, ალბათ, არავის ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ცენტრის მხრიდან, ამგვარი ქმედება სულაც არ უნდა ნიშნავდეს საქართველოში აკადემიური მეცნიერების, ფუნდამენტური გამოკვლევების შეწყვეტას. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გვპირდებიან, რომ ბიუჯეტში მოიძებნება ის თანხები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოში აკადემიური მეცნიერების არსებობას და განვითარებას. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ აუცილებელია თვით მეცნიერებათა აკადემიის ძირეული რეფორმა, რამეთუ ის დღეისათვის წარმოადგენს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პატარა მოდელს, რაც, თავისი ბუნებით, სულაც არ შეესაბამება ცივილიზაციის გზაზე მდგომ ქვეყანაში მეცნიერების ორგანიზების თავისებურებებს. აუცილებელია, განისაზღვროს მეცნიერული კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა დაფინანსებაც უმთავრესად (სრულად თუ არა) ბიუჯეტიდან უნდა განხორციელდეს. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია, თითოეულმა სამეცნიერო კოლექტივმა გამონახოს თავისი პროფილის შესაბამისი ბიზნესის სფერო, მაგრამ არა მეცნიერული კვლევის საზიანოდ. ამ მიმართულებით, ჩვენს ინსტიტუტში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, რომ დღეისათვის ძირეულად იცვლება ეკონომიკის საფუძვლები, ყალიბდება მეურნეობრიობის ახალი პირობები, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში. ჩვენი ინსტიტუტი სათანადო ხელშეკრულებათა საფუძველზე საქართველოს მთელ რიგ საწარმოებს და სხვა ობიექტებს ეხმარება მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვაში, არენდული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზებაში. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან.

თანამშრომლობის მიერ დამატებითი შემოსავლების მიღების ამ წყაროს გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა შესაძლებლობებიც. კერძოდ, ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი, დოცენტი არჩილ თეთრაული.

**— უფრო დეტალურად გვიამბეთ ამ უმაღლესი სკოლის შესახებ.**

— ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა ოთხწლიანია და იძლევა უმაღლეს განათლებას ოთხი სპეციალობის მიხედვით. კერძოდ, აქ მზადდება მენეჯერები საგარეო-ეკონომიკური კავშირების, წარმოების და ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. სწავლა ფასიანია და მისი წლიური ღირებულება სამი ათას ხუთასი მანეთი გახლავთ. ხსენებულ უმაღლეს სკოლაში ასწავლიან როგორც ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები, ისე თბილისის სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოწვეული კოლეგები.

დღეს, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ჩვენში, იქმნება ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის ყოვლად გაუმართლებელი ფართო ქსელი. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს თავის მხრივ, არის ცხოვრებისეული გამოძახილი ჩვენში, სამწუხაროდ, დამკვიდრებული იმ მანკიერი ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც ყველა მშობელი ცდილობს, რომ მის შვილს ჰქონდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე თანდათანობით ჩამოყალიბდა სიტუაცია, როცა ცხოვრებაში დაფასდება არა დიპლომი, არამედ ცოდნა. ჩვენი აზრით, ყველა ასეთი ფასიანი სასწავლებელი არის როგორც ერთმანეთის, ისე სახელმწიფო სასწავლებლების კონკურენტი, რამაც საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს სწავლების ხარისხის ამაღლებას, ჩვენს მიერ დაარსებული უმაღლესი სკოლა მზადაა ამგვარი შემოქმედებითი კონკურენციისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ დემოკრატიის დამკვიდრება, საბოლოო ჯამში, დადებით ნაყოფს გამოიღებს არა მარტო მეცნიერების და განათლების სისტემაში, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებშიც.

**ზულიკო მარკოზაშვილი.**

## ვინ ვინ არის

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ქალაქ თბილისის მერიას, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას, საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტს

**1991 წლის** 22 აგვისტოს გაიმართა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის საკრებულოს საგანგებო სესია.

სესიამ განიხილა და პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის ორგანოში „ცხოვრებაში" ა. წ. 21 აგვისტოს გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს სხდომაზე მიღებულ ცნობას „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ".

სესიამ მიიღო შემდეგი სახის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

— ვინაიდან გაზეთ „ცხოვრების" 1991 წლის 21 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებამ ე. წ. „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის" მხარდაჭერის შესახებ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია მხარს უჭერს ყველაზე რეაქციული, სამხედრო-დიქტატურული რეჟიმის დამყარებას, არ ითვალისწინებს ქართველი ერის საარსებო ინტერესებს, ფაქტობრივად არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას;

თავისი მოქმედებით საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტია არსებითად ქართველი ერის მოღალატის როლს ასრულებს,

ამიტომ მთაწმინდის რაიონის საკრებულო სვამს საკითხს საქართველოს კომპარტია გამოცხადდეს კანონგარეშედ, სამართალდამცავმა ორგანოებმა აღძრან მის წინააღმდეგ საქმე ქართველი ერის ღალატისათვის და ნაციონალიზებულ იქნეს მის განკარგულებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

**ჯემალ სილაგაძე,**
**თბილისის მთაწმინდის რაიონის საკრებულოს მდივანი.**

# ვგმობთ

**იმ დროს,** როდესაც მთელი მოწინავე კაცობრიობა შეძრა საბჭოთა კავშირში 1991 წლის 19 აგვისტოს დატრიალებულმა მოვლენებმა, იმ დროს, როდესაც თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე შემდგარ საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, ბნელეთის მოციქულთა მიერ მოხმობილი სატანური ძალების ცეცხლი და მახვილი დაემუქრა, იმ დროს, როდესაც მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღშფოთებით ადევნებდა თვალს ე. წ. საგანგებო კომიტეტის უღირს ანტიხალხურ მოქმედებას, საქართველოს კომპარტია, რბილად რომ ვთქვათ, აღტაცებით შეეგება ამ რეაქციულ გადატრიალებას. კიდევ ერთხელ, ეს უკვე მერამდენედ ეცადნენ „ამხანაგი" კომუნისტები ზურგში ჩაეცათ მახვილი ქართველი ერისთვის. აბა, რომელი მანკიერება, რომელი ღალატი შეედრება იმას, რაც შავით თეთრზე არის აღბეჭდილი 21 აგვისტოს „ცხოვრებაში" — საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ როგორი გაფაციცებით ელოდა ბნელი ძალების სათავეში მოსვლას ანტიეროვნული საკრებულო. მიაქვთ რა იერიში ქართველი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებაზე, ღალატის გზაზე შემდგარნი, ღაღადებენ — „ბიურომ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკას მხოლოდ სიმშვიდე, საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა" და ა. შ. მართებს. ღვთის მადლით, ეს მათი ღაღადისი დარჩა და დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რამეთუ ქართველმა ხალხმა კარგა ხანია გაუგო გემო უყალბესი ნოტებით გაჯერებულ მათ „ღაღადისს" და, მაინც, მიუხედავად ამისა, მათი ეს საქციელი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ერის ღალატი, ღალატი, რომელსაც ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ანალოგი იშვიათად თუ მოეძებნება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი", რომლის აფხაზეთის რეგიონმა სწორედ იმ ავადსახსენებელ 19 აგვისტოს ქ. სოხუმში ჩაატარა საგანგებო ყრილობა, სადაც დაგმო ეგრეთ წოდებული საგანგებო კომიტეტის ანტიდემოკრატიული მოქმედება და მოუწოდა საქართველოს ეროვნულ ძალებს სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ, გამოთქვა რწმენა დემოკრატიის აუცილებელი გამარჯვებისა, მოითხოვს, გაუქმდეს საქართველოს კომპარტია და მისი უძრავ-მოძრავი ქონება დაუბრუნდეს ქართველ ერს.

**სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ლემის" ნაფიცთა საბჭო.**

# აღარ

**საქართველოს** კომპარტიამ დღეს მშვენივრად დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო დამოუკიდებელი არაა, არამედ ცენტრში არსებული პოლიტიკური სპექტრის ყველაზე რეაქციულ ნაწილს დაუკავშირდა (სხვათაშორის, ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველომ შეძლო ამ მძიმე დღეებიდან უდანაკარგოდ და უსისხლოდ გამოსულიყო). როგორ — ფიზიკურად თუ იდეური თანხვედრის გზით — ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

საქართველოს კომპარტია აღარ უნდა არსებობდეს, ხოლო მისი ქონება უნდა ნაციონალიზდეს.

მე ამის თქმის მორალური უფლება მაქვს იმიტომაც, რომ ფაქტობრივად ვიმეორებ იმას, რაც ადრე მითქვამს.

ციტატი „სახალხო განათლების" 1990 წლის 27 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან:

„...შესაძლებელია ისეთი მსჯელობაც დავუშვათ, რომ დღეს ნებისმიერ ბლოკში — საერთოდ ბლოკში თუ პარტიაში — შესვლა ერთნაირად უზნეობაა. ზნეობაა, ნებისმიერი ბლოკის გზით პარლამენტში ღირსეული ხალხი შევიყვანოთ და არცერთი სასურველი კანდიდატი არ დავკარგოთ. ზნეობაა, გავერთიანდეთ, ფაქტიურად და პრაქტიკულად გავერთიანდეთ — სხვათაშორის, იმისათვის, რომ მომავალ პარლამენტში დავიწყოთ კონსტრუქციულ დიფერენცირებაზე ფიქრი. გაერთიანებისთვის გამაერთიანებელი ფაქტორი, ყველასათვის საერთო და მისაღები, უნდა მოვნახოთ, მან უნდა მოხსნას ერთმანეთის საბოლოოდ შეჭმის საშიშროება. ასეთი ფაქტორი არსებობს — ჩვენ ერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ, ჩვენ იმპერიის წინაშე უნდა დავდგეთ ერთად, ერთ ოპოზიციად (თუ, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ძალთაგან რომელიმე არ იტყუება, რომ დამოუკიდებლობისათვის იღვწის)".

დღევანდელი კომუნისტები იტყუებიან — სუვერენული, დემოკრატიული საქართველო მათ არ უნდათ.

უფრო ადრე, 1990 წლის აპრილში მე ვწერდი (გაზეთ „თბილისში"):

„საქართველოს კომპარტია გახდეს ნამდვილად საქართველოს კომპარტია, ან, სოციალისტური თუ დემოკრატიული იდეებიდან გამომდინარე, სხვა სახელწოდებით, ოღონდ: ჯერ ერთი, ნამდვილად დამოუკიდებელი, ე. ი. ცენტრს არდამორჩილებული; შემდეგ — ნამდვილად ეროვნული, ე. ი. მარქსისტული დოქტრინის საწინააღმდეგოდ, თავის პროგრამაში უპირველეს ადგილზე ეროვნული იდეალების გამთვალისწინებელი; შემდეგ — ერთხელ და სამუდამოდ გამიჯნული ბოლშევიკური წარსულისაგან, ე. ი. უნივერსალური, კლასობრივი, ანტიეროვნული ამოცანების უარმყოფელი. ამ და ყველა სხვა შემთხვევაში იგი უნდა ამოდიოდეს მასზე დღესდღეობით დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობიდან: ჯერ ერთი, მასთან და მხოლოდ მასთან ლაპარაკობს და ურთიერთობა აქვს დღეს ცენტრს; მეორეც, იგი აერთიანებს (ფორმალურად თუ არაფორმალურად) საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს; მესამეც, მას აქვს დაგროვილი პოლიტიკის შექმნის დიდი გამოცდილება (როგორის — ამჯერად მნიშვნელობა არ აქვს); მეოთხეც, მას აქვს დღესდღეობით უშუალო კავშირი მმართველობის ბერკეტთან; მეხუთეც, იგი პრაქტიკულად მონოპოლისტურად ფლობს ეროვნული საკუთრების ერთ ნაწილს. ავიღოთ თუნდაც ეს უკანასკნელი პუნქტი, მართლაც შეიძლება ვიკითხოთ: ვთქვათ, ის შენობები, რომელიც მას აქვს, ნამდვილად მისი აშენებულია? თუ, ერთი მხრივ, ჩვენ არ ვართ უფლებრივი საზოგადოება, თუ, მეორე მხრივ, ჩვენ გვინდა გავხდეთ უფლებრივი ქვეყანა, მაშინ, მესამე მხრივ, ჩვენ არ უნდა დავიტოვოთ უფლებები ძალით მოპოვებულზე — საქ. კომპარტიამ უნდა გაუნაწილოს ყველაფერი, რაც აქვს, სხვა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ა. შ. ორგანიზაციებს (წინააღმდეგ შემთხვევაში, ერის საკუთრების ნაწილი შეიძლება სხვის ხელში აღმოჩნდეს, როგორც ეს ლიტვაში მოხდა). თუ ამას ყველაფერს გააკეთებს, საქ. კომპარტია (მაშინ, როგორც ჩანს, ეს სახელწოდებაც აღარ იქნება შესაფერისი), როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, თავის წვლილს შეიტანს იმ დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში, რომელიც პრაქტიკულად დაიწყებს ერისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებას, ...ლაპარაკია ზოგადი სქემის ფარგლებში. არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ განცხადებულ მოქმედებებს საქ. კომპარტიისა მოჰყვეს ნეგატიური (რესპუბლიკის ერთიანობის საწინააღმდეგო) და არა პოზიციური შედეგი, არ არის გამორიცხული, საქ. კომპარტიამ სხვა ვარიანტი აირჩიოს, ისეთი, რომელიც მას, როგორც პარტიას, ზვარაკად მიიტანს ეროვნული მოძრაობის სამსხვერპლოზე".

სამწუხაროდ, საქ. კომპარტიამ არ ისურვა ზვარაკად შესწირვოდა ეროვნულ მოძრაობას და თვითლიკვიდირებულიყო.

მინდა გავიმეორო: საქ. კომპარტია აღარ უნდა არსებობდეს, ხოლო მისი ქონება უნდა ნაციონალიზდეს.

**აპოლონ სილაგაძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.**

# როდემდე?!

**დღევანდელ,** პოლიტიკურად მძვინვარე მოვლენებით სავსე ეპოქაში კაცს თითქოს აღარაფერი უნდა აკვირვებდეს და აღელვებდეს.

არ უნდა აკვირვებდეს, ცხადია, არც ამასწინანდელი „წითელი კორნილოვშჩინის" ცდა, რომლის ყოველი პარამეტრი (იმის მიუხედავად, თუ რომელი პოლიტიკური ძალების მიერ იყო იგი ინსპირირებული, ამას ჯერ კიდევ გარკვევა უნდა) საბოლოო ანგარიშით საბჭოთა იმპერიაში მოქცეული ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასათრგუნად იყო გათვლილი. ასეთი უნდა ყოფილიყო შედეგი მაშინაც, თუ ძალაუფლება ხუნტას დარჩებოდა, და მაშინაც, თუ ხელისუფლებაში „პერესტროიკის" ლიდერები დარჩებოდნენ. ამის ნიშანია თუნდაც ის კვლავ დაჟინებული ცდა, რომ ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას კრემლის ტრადიციული სქემით. ამიტომ, ხომ არ ჰგავს პუტჩის დეტალები ივანე მრისხანის ალექსანდრეს დაბაში გაქცევას, რამაც შემდეგ მეფის თვითმპყრობელობა უზომოდ გააძლიერა და გადამწყვეტ ფაზაში შეიყვანა რუსეთის ცენტრალიზებული მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძვლების შექმნა?

ასეთ ვითარებაში ელემენტარული მოაზროვნისთვისაც კი ცხადზე უცხადესია, თუ რა ჩაიდინა რეალურად საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელმა კომუნისტურმა პარტიამ მისი ხელმძღვანელობის სახით.

სულით ხორცამდე შეგვძრა გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნებულმა ნასიბრძნალმა, რომლის შემდგენლებმაც, კომუნისტური ფუნქციონერის სავარძელს რომ ვერა და ვერ შელევიან, თავისი სალაფავისთვის, — დიახ, მე სხვა სიტყვა ვერ გამომიძებნია,— ასეთი კმაყოფილება გამოხატეს ხუნტის გამოჩენით, რაც დოკუმენტის შემდგენელთა ენაზე ქვეყანად წესრიგს აღადგენს და გამოგვიყვანს იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც, თურმე, ჩვენ ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაგვაყენა. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, ცკ-ის ბიუროს დადგენილებაში პოლიტიკური ბოდვააო, მაგრამ დაუკვირდით, რა ფაშისტური აზრებია მასში ჩალაგებული. უწესრიგობა და ჩვენი დუხჭირი ცხოვრება, თურმე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგია, მაშინ როცა, ოდნავ გაგებული კაცისთვის ნათელია, რომ ყველაფერი ეს ხანგრძლივი ტოტალიტარული პოლიტიკის ნაყოფია. დოკუმენტის შემდგენლები, მაგალითად, წყევლა-კრულვით იხსენიებენ სამტრედიის ცნობილ აქციას და მას ლამის ყაჩაღობად თვლიან. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ასეთმა აქციებმა საბოლოოდ ძალა გამოაცალეს დისკრედიტებულ კომუნისტურ რეჟიმს ჩვენში და აიძულეს იგი დათანხმებულიყო მრავალპარტიულ არჩევნებზე, რამაც ხელისუფლებიდან გააძევა სახელგატეხილი, მათ შორის, 9 აპრილის ისტორიაში გარეული ფუნქციონერები?

და ახლა ამ კუდამოძუებულებს ისევ სურთ ხელისუფლების სათავეში მობრუნება. განა რაიმე იდეის გულისთვის? ცხადია, არა. მათ მხოლოდ პოლიტიკურ ელიტაში სურთ ამობრუნება, მქონარობის წილ ფუფუნება ენატრებათ და მზად არიან ყოველივე ეს ერის თავისუფლების მოსპობით იყიდონ, რადგანაც ეს ერი უწინდებურად უპატრონო ჰგონიათ. სწორედ ამ სულისკვეთებით სუნთქავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელით შეთითხნილი ის დოკუმენტი, რომლითაც მავანნი და მავანნი ასე დიდი იმედით ყოფილან აღჭურვილი ხუნტის განზრახული ჩანაფიქრით — ყველგან წესრიგი დაემყარებინათ. არადა ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ წესრიგის დამყარების ხელწერას, რომელმაც ჩვენ ქართველებს, კერძოდ, მოგვიტანა წიწამურის ტრაგედია, 1921 წლის „ბედნიერება", ტოტალიტარიზმის მრავალათეულწლიანი კოშმარი, 9 აპრილის სისხლი, სამაჩაბლოს ამბები...

ახლაც სისხლი სწყუროდათ თურმე ჩვენს გადემოკრატებულ წითელ ფუნქციონერებს.

რა უფლება გაქვთ თქვენ, სერგო რიგვავა, რომ ამდენი ხანია კბილებს უკრაჭუნებთ ქართველ ხალხს? აღარ გეყოთ ამდენი მატერიალური სიკეთე? ვეღარ გაძეხით? განა ეს ასე არაა თქვენი გამოსვლებით, თქვენი სიხარულით, რომელიც ხუნტის აღზევებისთანავე გამოიჩინეთ? ჩანს ეს, სხვათა შორის, თქვენი ოჯახური ტრადიციებითაც შემაგრებული პოლიტიკური მრწამსია. ვის ვის და ჩვენ კარგად ვიცით თქვენი ოჯახის აქტიური სიმპათია ტოტალიტარიზმის მექანიზმისადმი.

მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ინტელიგენტი, ახალგაზრდობის აღმზრდელი, კატეგორიულად მოვითხოვ ჩვენი საზოგადოებრიობისაგან, მორალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, — ეს თვისება ფუნქციონერებში მუდამ ძნელი საშოვარი იყო, — გამოყოფილ იქნეს საპარლამენტო კომისია ე. წ. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ხელმძღვანელთა მოღალატური საქმიანობის შესასწავლად, რადგან ჩვენი სახელმწიფოს, რესპუბლიკისათვის ეგზომ კრიტიკულ წუთებში ხუნტისადმი ლეგალურ-ოფიციალურად სიმპათიის გამოხატვა არსებული პოლიტიკური წყობილების დამხობის, ტერორისა და ძალადობისადმი აშკარა მოწოდებაცაა, რაც სხვასთან ერთად სისხლის სამართლებრივი დანაშაულია.

**შოთა ბადრიძე,**
**პროფესორი.**

# პარტრაიკომი დაშლილია

**საქართველოს** კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პლენუმის დარჩენილი შემადგენლობა, რაიკომის აპარატის მუშაკები, კომუნისტთა ერთი ჯგუფი შეიკრიბა საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე, სადაც უკიდურესი აღშფოთება გამოხატეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების გამო, რომელიც გაზეთ „ცხოვრების" 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და საგანგებო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს შეეხებოდა.

ამ ინფორმაციის მიხედვით ცენტრალური კომიტეტის ბიურო თავის აღფრთოვანებას ვერ მალავდა საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალების გამო.

ჩვენ კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოს განცხადებას, თითქოს გაზეთ „ცხოვრებაში" დაბეჭდილი ინფორმაცია არასწორი იყოს. უბრალოდ მათ ალღომ უმტყუნათ — დიქტატურამ ვერ გაიმარჯვა და ახლა თავს იმართლებენ.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შეურაცხყო პარტიის რიგითი წევრები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ კომპარტია საბოლოოდ ზურგს შეაქცევდა წარსულს და მონანიების გზით თავის ადგილს დაიჭერდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პოზიცია არის მოღალატური არა მარტო პარტიის, არამედ მთელი ერის წინაშე, რისთვისაც მისი შემადგენლობა მკაცრად უნდა დაისაჯოს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეუძლებლად მიგვაჩნია მომავალში ვითანამშრომლოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, ვიხსნით ჩვენს უფლებამოვალეობებს და გავდივართ კომპარტიის რიგებიდან. ამასთან მიგვაჩნია, რომ ეს ადრე უნდა გაგვეკეთებინა.

ამით პარტიის თერჯოლის რაიონული კომიტეტის აპარატი ლიკვიდირებულია, რაიკომის პლენუმი — დაშლილი.

მოვუწოდებ საქართველოს კომპარტიის წევრებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუტოვებიათ მისი რიგები, გავიდნენ ამ იმპერიული პარტიიდან.

ა. ქაშაკაშვილი — საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, დ. სარალიძე — რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი. რაიონული კომიტეტის ყოფილი წევრები: ლ. ბუიღლიშვილი, ა. მაკარიძე, შ. პანტურიძე, დ. ზარნაძე, რ. წკეპლაძე, თ. გოგოლაშვილი, ნ. გამყრელიძე, ე. ბუცხრიკიძე.

რაიკომის აპარატის ყოფილი მუშაკები: ნ. ბერეზოვსკაია, ც. აბჟანდაძე, მ. ბუსკივაძე, დ. ჩხიკვაძე, ნ. ხვედელიძე, ა. გეწაძე.

საქართველოს კომპარტიის ყოფილი წევრები: ა. სოფრომაძე, ჯ. დოლაკიძე, ა. თურქაძე, გ. ქურციკიძე.

**ჰენრი შარიქაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

**სამეცნიერო-საწარმოო** გაერთიანება „პროგრესის" მრავალეროვანმა კოლექტივმა 1991 წლის 23 აგვისტოს მიტინგზე განიხილა 1991 წლის 21 აგვისტოს გაზეთ „ცხოვრებაში" გამოქვეყნებული ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ.

მიტინგმა მიიღო შემდეგი მიმართვა:

მაშინ, როცა საქართველოს ჰყავს თავისი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, თავისი პრეზიდენტი, მიმდინარეობს უკომპრომისო ბრძოლა საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ვაფასებთ მხოლოდ როგორც ერის, საქართველოს ღალატს. მოვითხოვთ განდევნილ იქნეს საქართველოდან ყველა ის პარტიული ფუნქციონერი, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ დადგენილებას.

მოვითხოვთ კანონგარეშე გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტია, მოვითხოვთ უახლოეს სესიაზე განხილულ იქნეს საქართველოს კომპარტიის გამოცხადება კანონგარეშე, როგორც კონსერვატიული და აგრესიული ძალა, რომელსაც არ სურს საქართველოს და მისი ხალხის ბედნიერება და დამოუკიდებლობა. ასევე მოხდეს მათი საკუთრების ნაციონალიზაცია.

**სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პროგრესის" კოლექტივი.**

# „არ გათეთრდების ყორანი..."

**ის, რაც** ამ უკანასკნელ სამოთხ დღეში მოხდა, იმპერიულმა ძალებმა და მათმა დამქაშებმა კარგა ხანია იცოდნენ. შეიძლება დემოკრატიული მასების წინააღმდეგობასთან ერთად ესეც გახდა მათი ასე სწრაფი დამარცხების მიზეზი. კონკრეტულად ჯერ კიდევ წინა კვირას ე. წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ ახლა უკვე ნომერ პირველ დამნაშავე იანაევთან, რომელიც იმთავითვე ოსების მოსკოველი ემისრის ჩიხოევის დიდ მეგობრად ითვლებოდა. ოსებმა მას მართვის ძველი სტრუქტურების აღდგენა შესთხოვეს და დაპირებაც მიიღეს — ოთხ-ხუთ დღეში ყველაფერი რიგზე იქნებაო. ეს ოთხი-ხუთი დღე კი 20 აგვისტოს ემთხვეოდა. მერე ის იყო ცხინვალის შემოგარენ ქართულ სოფლებში ხმა დაირხა 20 აგვისტოს შეიძლება მდგომარეობის გამწვავება მოჰყვესო. ერთი სიტყვით, მჭიდრო კავშირი ცენტრისტ პუტჩისტებსა და საქართველოს ჩრდილოეთში მცხოვრებ ოსებს შორის სრულიად აშკარაა. ამიტომ არავის არ უნდა გაჰკვირვებოდა, 20 აგვისტოს გაზეთი „სოვეტსკაია ოსეტია" თითქმის მთლიანად რომ მიეძღვნა ხუნტის მხარდასაჭერ მასალებს.

ნომერი სამხრეთ ოსეთის ხალხისადმი მიმართვით იხსნება. მას ხელს აწერს პარტიის საოლქო კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომი. მიმართვაში ნათქვამია: როგორც იქნა, მრავალეროვანი კავშირის ბედისადმი პასუხისმგებლობამ გაიმარჯვა ავანტიურიზმზე და პოლიტიკანიზმზე, გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯი ჩვენი საზოგადოების ქაოსისა და კატასტროფისაკენ დაქანების შეჩერების გზაზე. სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭომ მიმართა სამხრეთ ოსეთის ხალხს მხარი დაუჭირონ ამჟამინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობას.

იქვე მეორე მიმართვაც გახლავთ დაბეჭდილი. თითქოს ოსების პოლიტიკური სიბეცის დემონსტრაციისათვის ერთიც საკმარისი არ ყოფილიყო. ამ მიმართვას უკვე სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან შექმნილი საგანგებო კომიტეტი (ვიმ, რა მალე მოუსწრიათ მ. მ.) აწერს ხელს და მიაჩნია, რომ „ქვეყანაში დაწყებული რადიკალური ცვლილებები იმედს გვაძლევს გაუმჯობესდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა".

ეს კიდევ არაფერი, მავანი იტყვის, კორუმპირებულმა, ძველი სისტემის მოტრფიალე და მას ჩაბღაუჭებულმა ხელმძღვანელებმა ხალხის სახელით განცხადებები გააკეთესო, რასაც შეჩვეული ვიყავით ეგრეთ წოდებული კომუნისტურ საზოგადოებაში, მაგრამ თუ ხალხსაც მოვუსმენთ, დავრწმუნდებით, რომ ეს მიმართვები გამომხატველია მათი აზრისა.

თუ საქინფორმისა და ყოფილი „საბჭოთა ოსეთის" ფოტოკორესპონდენტმა, სამჯერ გვარგამოცვლილმა ლენგიორ გუსოევ-გუსოვ-გუსოითმა სახელმწიფო გადატრიალება სრულიად ლოგიკურად მიიჩნია საღად მოაზროვნე ადამიანთა უდიდესი ნაწილისათვის, რაღას იტყოდა ქარხნის მუშა ან მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ფაშისტებს რომ უწოდებს და იმედს გამოთქვამს, ხუნტა სეპარატისტულ ძალებს გაანადგურებსო.

ასეთი ფაქტი, სამწუხაროდ, მრავლად გვაქვს სამაჩაბლოში, მაგრამ ზოგიერთმა ჩვენგანმა მაინც ვერ შეიგნო ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ „ძმად შობილი" ოსები დიდი ხანია ჩვენს მტრებს მხარში ამოსდგომიან. ამიტომ ვთხოვდით ინტელიგენციას, ვისაც ხელი მიუწვდება პრესაში, წინდახედულობა გამოიჩინონ. ისე აღარ უნდა მოგვივიდეს, როგორც ამასწინათ მივუძღვენით ოსების ერთ-ერთ იდეოლოგს ანატოლი ჭაჭიევს. ოდნავ მაინც შევიკავოთ თავი და რეალობას თვალებში შევხედოთ, თორემ საკუთარ მიწაზე დევნილ სამაჩაბლოელ ქართველს ეს სიტყვები უფრო უკლავს გულს, ვიდრე მტრის ტყვია.

სამაჩაბლოს თავისი გაზეთის „შიდა ქართლის" ოსებისადმი შემრიგებლური პოზიციაც ეყოფა. იგი ხომ პროზას აღარ ჯერდება და ლექსად „ოსო, ძმობილო ისევო", მიმართავს მოსისხლეებს. გვეყო ამდენი თვალთმაქცობა, თორემ სამაგალითოდ ისევ ჩვენი მტრებიც გვყოფნის, რომლებიც ქართველებს მტრებს, კაციჭამიებს, კაცის მკვლელებს, ვანდალებს და ღმერთმა უწყის რას არ უწოდებენ. ჩვენ კი კვლავ „ძმანო" გვეძახით. აღარ არის ასე, რამეთუ წყევლა-კრულვით გვიხსენიებენ. „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა".

**მერაბ მაისურაძე,**
**სამაჩაბლოელი ჟურნალისტი.**

## პრობლემა

# სვანეთის ტყეები დასვენებას ითხოვს

**ცნობილია,** რომ მთაგორიანი რელიეფის ქვეყნებში ტყე მთათა ფერდობებზე ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფუნქციებს — ნიადაგდაცვითს, წყალმარეგულირებელს, წყალშემნახავს, თოვლის ზვავების საწინააღმდეგოს და სხვა. ამასთან ერთად ამ ტყეებს აკისრიათ ისეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ხასიათის ფუნქციებიც, როგორიცაა რეკრეაციული, სან-ჰიგიენური, კლიმატ-მარეგულირებელი და სხვა. სწორედ მათი ერთობლივი შესრულებაა უმთავრესი. სხვა დანარჩენი (მათ შორის მერქნით სარგებლობა) ამ ფუნქციების შესრულებას ექვემდებარება.

ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყე გეოგრაფიული მოვლენაა და, მაშასადამე, შეიძლება სხვადასხვა რეგიონში ეკოლოგიური და სოციალური ხასიათის დანიშნულებათა შესრულების სხვადასხვა თვისებრივი (ნორმატიული) მაჩვენებლები ჰქონდეს.

თუ საქართველოს ტყეების სადღეისო მდგომარეობისა და მათს ეკოლოგიურ ფუნქციებზე ვიმსჯელებთ, სვანეთის ტყეების მაგალითით (დღეს ეს ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი" ანუ ეკოლოგიურად მყიფე წერტილია საქართველოში), შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში გახშირებული კატასტროფები ტრაგიკული შედეგებით უპირველესად მაღალი მთის მცენარეული საფარის დეგრადაციის შედეგიცაა, რაც, უთუოდ, თვითდინებაზე მიშვებული უსისტემო მეურნეობრიობით არის გამოწვეული.

საქართველოში 1987 წლის იანვრის ბოლოს დატრიალებულმა ტრაგედიამ რესპუბლიკის ეკონომიკას, მთისა და ბარის მოსახლეობას არნახული ზარალი მიაყენა. ძნელად თუ მოიძებნება იმის ანალოგი, რაც ჩვენს მთასა და ბარს ასე ერთობლივად დაატყდა თავს თოვლის ზვავებისა და წყალდიდობის სახით.

დიდთოვლობა ადრეც ბევრჯერ ყოფილა საქართველოში: 1902 1932, 1966, 1976 და სხვა წლებში. ზემო და ქვემო სვანეთში თოვლის საფარის სიმაღლემ მაშინ 3,5-4,5 მეტრს მიაღწია. კერძოდ, 1976 წელს, თებერვალში მესტიის რაიონში ჟაბერის სასოფლო საბჭოში თოვლის საფარის სიმაღლე 4 მეტრი და 20 სმ იყო. ცხადია, ჩამოწვა ზვავები, დაზარალდა მოსახლეობა, მაგრამ ის, რაც 1987 წელს იანვარ-თებერვალში მოხდა, ამ თვალსაზრისით უპრეცედენტოა.

როგორც ცნობილია, სვანეთი ხევ-ხრამებით ძლიერ დასერილი, მთაგორიანი რელიეფით გამოირჩევა. ტყე იყო და არის სვანი კაცის კეთილდღეობის წყარო. ტყე იცავს მთის მწირ სავარგულებს გადარეცხვისგან, მომიჯნავე ტერიტორიებზე დადებითი გავლენის წყალობით ხელს უწყობს სავარგულების ნაყოფიერებას, იცავს მოსახლეობას ღვარცოფებისა თუ ზვავებისაგან.

სამწუხაროდ, ამ რეგიონის ტყის მასივები დღეისათვის უმეტესწილად ჭრაგავლილია. ტყის გაძლიერებული ექსპლოატაცია აქ 1938 წლიდან, ანუ ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ამოქმედების დღიდან იწყება. ტყეების საშუალო სიხშირე 0,52-ია, რაც სრულიადაც არ კმარა ამ რეგიონში დაცვითი ფუნქციების შესასრულებლად. ციცაბო მთის ფერდობებზე ტყემ რომ ოპტიმალურად შეასრულოს დაცვითი ფუნქციები, კორომების სიხშირე მაღალი უნდა იყოს (0,8-1,0). ასეთი ტყეები კი მთლიანად საქართველოში 3,5 პროცენტია, ხოლო მესტიის რაიონში — 2,83 პროცენტი. აქედან ცხადი ხდება რეგიონის მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების დაქვეითების მიზეზი. ხშირად საქართველოს ტყეების თანამედროვე მდგომარეობის დახასიათების დროს სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკა სსრ კავშირში მესამე ადგილზეა ტყიანობის პროცენტით (39,5) და რომ ამ მაჩვენებლით მხოლოდ რსფსრ (43,9) და ლატვიას (40,7) ჩამოუვარდება.

დღეს სვანეთის ტყეები ეკოლოგიური წონასწორობის ზღვარზეა. გამართლდა პროფესორ ს. ქურდიანის ვარაუდი, რომ სვანეთის ტყეების ბაზაზე ზუგდიდის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის შექმნა გაანადგურებდა ამ ტყეებს. მეტის ატანა ტყეს აღარ შეუძლია. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მიერ პრესაში (გ. გიგაური, რ. ჩაგელიშვილი, გაზეთი „კომუნისტი" 1989 წლის 14 აპრილი) 15-20 წლის ვადით მაინც სამრეწველო ჭრების დროებით აკრძალვის საკითხის დასმა და მისი დადებითად გადაწყვეტის მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ სვანეთის ტყეების ცალკეულ მიკროუბნებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი დიდი სიხშირის კორომები, მაგრამ მათი ექსპლოატაცია მცირე კონტურიანობის, უგზოობის და მერქნის საერთო მარაგის სიმცირის გამო გაუმართლებელია როგორც ეკოლოგიურად, ასევე ეკონომიკურადაც.

სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ სვანეთის სატყეო მეურნეობები 1991 წლამდე უმეტესად ჭრას აწარმოებდნენ 40-იან და შემდგომ წლებში უკვე ჭრაგავლილ (ტყის ჭრის წესებით ნებადართულ) კორომებში. სადაც ტყის სიხშირე 0,5-0,6 არ აღემატება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ არ გაგვაჩნია მთიან პირობებში ტყეში ტექნოლოგიური პროცესების საწარმოებლად საჭირო თანამედროვე ტექნიკა, დაბალია გზების მშენებლობის კულტურა და ამასთან ნიადაგ-გრუნტიც მდგრადი ვერ არის ღვარცოფების წარმოშობის თვალსაზრისით, ცხადი გახდება ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესების მექანიზმი და სერიოზულობა.

დღეისათვის მესტიის რაიონში ბევრი ცხელი, ეკოლოგიურად მყიფე წერტილი გვაქვს აღრიცხული, ამასთან მრავალი წლის კვლევის მასალები საშუალებას გვაძლევს კონკრეტულად გამოვყოთ ძირითადი და პოტენციური ზვავსაშიში თუ ღვარცოფსაშიში უბნები. კერძოდ, მესტიის შემოგარენში ჩვენი აზრით, ძლიერ ზვავსაშიშია შემდეგი უბნები:

მდ. მესტიაჭალის აუზში — ლალამის, ლარჩვალისა და ლეღთაგის ხევები. აქვეა მეტად აქტიური სელური აუზი ზაარგეშის ღელე;

სოფ. ლენჯერის თავში არსებული ცირკისებრი ფლატე კაერი. ეს აქტიური ღვარცოფიანი აუზია და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას;

ლატალის თემში ზვავის საშიშროება შეექმნათ ენაშსა და მაცხვარიშს. აქ, მდინარე ჯოჯოხეთას ხევის აუზში ტყეების დაცვითი ფუნქციები მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული (კორომები ჭრაგავლილია, საშუალო სიხშირე — 0,49). აუზი ღვარცოფული ხასიათისაა;

ბეჩოს თემში, მდ. დოლრას აუზში ზვავი ემუქრება უშხვანარს. აქ კარგად არის გამოხატული ტყის ზვავსაწინააღმდეგო დაცვითი ფუნქცია. მცირე პარამეტრების მქონე საზვავე კომპლექსიდან წამოსული ზვავის ზემოქმედება გააუვნებლა დაცვითი ტყის მასივმა ისე, რომ სოფლისთვის ზიანი არ მიუყენებია. აქვე მდ. დოლრას მარცხენა მხარეს არის მთის ქანის დასხლეტის, ჩამოშლისა და შემდგომი დამეწყვრის ძლიერი ნიშნები. შეიძლება პარალელის გავლება შიდა, მთიან აჭარაში მიმდინარე შესაბამის პროცესებთან;

მდ. მულახურას აუზში ტყე ცოტაა, თანაც მეჩხერი. ძლიერი საზვავეებია ტყის საფარს მოკლებული ჩხუტის მთის ფერდობები. აქ 1987 წელს ზვავმა გადათელა სოფ. ჟამუში. იყო მსხვერპლი. იმავე წლის გაზაფხულზე მდ. მულახურას მარჯვენა მხარეს, სოფ. ჟამუშის შემოგარენში დაიმეწყრა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ეკოლოგიური სიტუაცია აქ მეტად რთულია;

— მდ. ნაკრას ხეობაში ბევრი საზვავეა, განსაკუთრებით ალპურ და სუბალპურ ზონებში. ყველაზე აქტიურმოქმედია ზვავის ბანგშანში. აქტიური საზვავეებია სოფლების აბჭვერისა და შტიხირის მიდამოებში;

— მდ. ხუმფრერის ხეობა ძლიერ ღვარცოფსაშიში აუზია. აქ ტყეები ჭრაგავლილია, მთაში გადატვირთულ საძოვრებზე კორდი იშლება;

— მდ. ნენსკრას ხეობაში საზვავეების გააქტიურებას 1987 წელს მნიშვნელოვანი ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ჭუბერის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების ქვედა და ზედა მარლის შემოგარენი. კერძოდ, ქვემო მარლში ზვავის გამონატანის მხოლოდ ერთ-ერთ კონუსში 300 კუბურ მეტრამდე ხე-ტყე აღვრიცხეთ. მათ შორის ნახევარი 150-200 წლის გადაცილებული ხეებია. საზვავე კომპლექსის შემოგარენი ჭრაგავლილია. ჭრაგავლილ კორომთა საშუალო სიხშირემ 1987 წლისათვის 0,51 შეადგინა;

— მდ. ხაიშურას ხეობა — ერთნაირად საშიშია როგორც ზვავების ჩამოწოლის, ასევე ღვარცოფების თვალსაზრისით. აქ ქვედა ველში ზვავის მოქმედებას დიდი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი მოჰყვა (ქანთარიების უბანი). რამდენიმე შენობა დააზიანა ღვარცოფმა, რომელიც საექსპლოატაციო ეროზიის პროგრესულ განვითარებას მოჰყვა ხე-ტყის საზიდ გზებზე. აქვე, მკვრივი ნატანის სიუხვით და აქტიურობით გამოირჩევა ტიპური ღვარცოფული აუზი — „შავი ღელე". ჩვენი აზრით, ზვავებისა და ღვარცოფების აქტიურობა ნიადაგ-გრუნტთან ერთად ბუნებაზე გაძლიერებული ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგია;

— მდ. ხუბერულას ხეობაში, 0,5 სიხშირის შერეული ფოთლოვანი ტყის კორომში, 40 გრადუსის ციცაბოზე ჩაისახა ზვავი, კარგად ეტყობა ნაზვავები. ნორმალური სტრუქტურის მქონე ტყეში, ჩვეულებრივ, ზვავი არ უნდა ჩაისახოს. აქ სტრუქტურა დარღვეულია.

სულ მესტიის რაიონში აღვრიცხეთ 72 მნიშვნელოვნად ზვავსაშიში და 50-მდე მეტნაკლებად აქტიური ღვარცოფული ხასიათის კერა.

ძლიერი ანთროპოგენული ზემოქმედების უბნებზე (დასახლებული პუნქტების ირგვლივ, ახლად ჭრაგავლილ ფართობებზე, სხვადასხვა დანიშნულების გზების მშენებარე ობიექტებზე) აშკარად შეიმჩნევა მთის ეკოსისტემების დაჩქარებული რღვევის პროცესები.

1987 წელს სტიქიამ მესტიის რაიონს ოფიციალური მონაცემებით 15,5 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა.

მესტიის რაიონში ტყეების საერთო მდგომარეობის შესწავლისა და მერქნით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების მიზნით 1991 წლის ივლისის პირველ დეკადაში სპეციალურმა კომისიამ უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის, სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტის, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის, „ტყეპროექტის" სპეციალისტთა ჯგუფის, საზოგადოება „სვანეთის" და მესტიის რაიონის პრეფექტურის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ადგილზე გასვლით, კომპლექსურად გამოიკვლია მესტიის რაიონის ტყეებში შექმნილი მდგომარეობა.

კომისიამ გამოკვლევის საფუძველზე დაასკვნა:

1. ბოლო წლების დიდთოვლობის შედეგად ტყეში ხდება დიდი რაოდენობით თოვლქვეშული ხე-ტყის დაგროვება. გარდა ამისა, აღინიშნება ნაძვის დიდი ლაფნიჭამიით გამხმარი ხეების სიმრავლე, რამაც შეასუსტა ამ ტყეების ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციები. ამასთან ერთად რელიეფის სირთულისა და ზეხმელ ხეთა გაფანტულობის გამო გაძნელებულია აღნიშნული მერქნის ათვისება.

2. მესტიის რაიონში 1991 წლისთვის დაგეგმილი მთავარი სარგებლობის ჭრის ოდენობა — 22 ათასი კუბური მეტრი — სწორი შერჩევითი მეურნეობის წარმოების პირობებში მისაღები იქნება, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკურ პირობებს.

სხვა შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის ტყის კოდექსის მიღებამდე და საქართველოს მთის ტყეების მეურნეობის მართვის ახალი მეთოდების შემუშავებამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მესტიის რაიონში შეჩერდეს მთავარი სარგებლობის ჭრები.

**თენგიზ გზირიშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეტეოროლოგიისა და ატმოსფეროს ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის წევრი;**
**დავით ნაკანი,**
**საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრი;**
**რევაზ ჩაგელიშვილი,**
**საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრის მოადგილე;**
**თენგიზ ონიანი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაღალმთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი;**
**მედეა კეიდია,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის უფროსი კონსულტანტი.** საქინფორმი.

## საზღვარგარეთ

# გადატრიალების შემდეგ

**გუშინ** მოსკოვში დაახლოებით 15 ათასი კაცი შეიკრიბა „სუკის" შენობის წინ მდებარე ფელიქს ძერჟინსკის ძეგლთან და სხვადასხვა უკადრისი წარწერებით შეამკო იგი, მათ შორის გამოირჩეოდა წარწერა „ხუნტა ხანა". შემდეგ დემონსტრანტებმა ქალაქის მერის გავრიილ პოპოვის მითითებით ამწეს საშუალებით აიღეს „რკინის ფელიქსი" და გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს.

**რუსეთის** ფედერაციის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია მიეცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეაჩეროს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის გორბაჩოვის 1990 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულება „1991 წელს სავალუტო რესურსების გამოყენების განსაკუთრებული წესის შესახებ". აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საბაჟოების შექმნისა და მათი განსაკუთრებული რეჟიმით მუშაობის შესახებ. მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური ხასიათის სხვა მრავალი რეკომენდაციაც მიეცა.

**აზერბაიჯანელი** ჟურნალისტი ბუგარ ჰალილოვი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირში მომხდარი სამხედრო გადატრიალების დროს რესპუბლიკის პრეზიდენტი მუტალიბოვი ირანში იმყოფებოდა, იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ბაქოში და მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა. თუ როგორი სიმშვიდისაკენ მოუწოდა, ეს კარგად გამოჩნდა ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ქარხანაში, სადაც ცკ-ის მაღალი თანამდებობის პირმა ზეინალოვმა მოსახლეობას „კომიტეტისადმი" ერთგულებისაკენ მოუწოდა. 19 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს აზერბაიჯანის ტელევიზია და 22 აგვისტოს საღამოს ხუთ საათამდე მხოლოდ მოსკოვის პირველ პროგრამას გადასცემდნენ. აზერბაიჯანელი მოსახლეობა საინფორმაციო ბლოკადაში იყო. 21 აგვისტოს აზერინფორმმა გაავრცელა განცხადება იმის თაობაზე, რომ მუტალიბოვს საფრანგეთის რადიოსთვის არ უთქვამს გორბაჩოვის გადაყენება კარგიაო. 22 აგვისტოს საღამოს ბაქოში დიდი მიტინგი გაიმართა, სადაც დაგმობილი იქნა აზერბაიჯანის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება „ხუნტის" წევრებთან.

**შეერთებული** შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საბჭოთა ხელმძღვანელობას მოუწოდა, რომ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება შესანიშნავი საფუძველი იქნება შეერთებულ შტატებთან მომავალი ურთიერთობის გასაუმჯობესებლადო.

**ყაზახეთის** პრეზიდენტის ნაზარბაევის თქმით, სამხედრო გადატრიალების დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი „კომიტეტის" წევრებთან უდავო ფაქტიაო. ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ ამის დასამტკიცებლად რამდენიმე დოკუმენტი მაქვს და ყაზახეთის რესპუბლიკის კომუნისტებს მოუწოდა ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტონ საკავშირო კომპარტიასთან.

**გაზეთი** „ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ მოსკოვში შესულ ჯარისკაცთა უმრავლესობა შუა აზიის რესპუბლიკების მკვიდრნი იყვნენ. მათმა უდიდესმა უმრავლესობამ რუსული ენა ცუდად ან საერთოდ არ იცოდაო. „კომიტეტის" წევრთა აზრით, ასეთი ჯარისკაცების გამოყენება უფრო ეფექტური არისო, დასძენს გაზეთი.

**რადიოსადგურ** ბი-ბი-სის ცნობით, ბორის ელცინი აღნიშნავს, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, გორბაჩოვის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი ანატოლი ლუკიანოვი შეთქმულთა სულის ჩამდგმელი იყოო. რუსეთის ფედერაციის სესიამ მისი გადაყენება მოითხოვა. ლუკიანოვმა გადატრიალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ლირიკულ ლექსთა კრებული გამოსცა, რათა ჰუმანისტის რეპუტაცია აემაღლებინა. იგი „კომიტეტის" წევრად იმიტომ არ შევიდა, რომ მოგვიანებით სახალხო დეპუტატების ყრილობაზე, რომელიც მისი მორჩილი იყო, „კომიტეტის" ლეგიტიმიზაცია მოეხდინა. რადიოსადგურის ცნობით, დემოკრატიის დამცველი მოსკოველები ხუნტას „ცხელი შებოლვის კომიტეტს" უწოდებენ, იანაევს — „ჩინგაჩგუკს", ხოლო ლუკიანოვს „კალის თვალს".

**ლატვიელი** დემოკრატები ლატვიის კომპარტიის დაშლას მოითხოვენ. მათი აზრით, მათმა ლიდერმა ალფრედ რუბიქსმა მთლიანად გამოამჟღავნა თავი, როდესაც რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების დახურვა და ეროვნული ლიდერების დაპატიმრება მოითხოვა. ლატვიელთა აზრით, რუბიქსი მოსკოვის „ხუნტის" სასარგებლოდ ბალტიისპირეთში კვისლინგის როლს ასრულებდა და ასრულებს.

**ლატვიის** დამოუკიდებლობის მომხრეთა აზრით, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა და ე. წ. გარდამავალი პერიოდის დასრულება იმიტომ გამოცხადდა, რომ მოსკოვში პუტჩისტების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ შეუძლებელი გახდა მოსკოვთან დამოუკიდებლობის თაობაზე დიალოგის გამართვაო.

**ხელისუფლების** სათავეში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა სამი დანიშვნა განახორციელა, რამაც ელცინის მომხრეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ბი-ბი-სის აზრით, გორბაჩოვის საკმაოდ ზომიერმა პოლიტიკამ შესაძლოა ელცინთან მისი ურთიერთობა გააფუჭოს, რომელიც კომპარტიის გაუქმებას მოითხოვს. დღეს გორბაჩოვი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე ცხრა რესპუბლიკის ხელმძღვანელს შეხვდება. ელცინი ხელშეკრულების ტექსტის შეცვლას მოითხოვს. რადიოსადგურის აზრით, გორბაჩოვი კვლავ ილუზიებშია და სჯერა, რომ შესაძლებელია კომპრომეტირებული კომპარტიის რეორგანიზაცია, რაც მე-20 საუკუნის ბოლოს ანაქრონიზმად ჟღერს.

**მოსკოვში** დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ტყვეობაში ყოფნის დროს ყველაზე კარგად ბი-ბი-სის რადიოგადაცემებს ვუსმენდიო. მან ამავე დროს აღნიშნა, რომ ტყვეობაში 32-გვერდიანი სტატია დავწერე · ჩემი სამშობლოს აწმყოზე და მომავალზეო.

**მოსკოვში** ბევრს არ სჯერა, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი გასწირავს გენადი იანაევს. ქალაქის ქუჩებში გამოკრულ ფურცლებზე ვკითხულობთ: „მე მინდა, რომ ცხოვრების უძნელეს მონაკვეთში ჩემს გვერდით იყოს ადამიანი, რომელსაც მთლიანად ვენდობი". ეს სიტყვები პრეზიდენტმა გორბაჩოვმა 1990 წლის 28 ოქტომბერს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე იანაევის დანიშვნასთან დაკავშირებით თქვა.

**მოსკოვიდან** იუწყებიან, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მდივანი იური პროკოფიევი გადაყენებულია თანამდებობიდან, ხოლო საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ლუკიანოვის მაგივრად დანიშნულია ლაპტევი.

**გუშინ** გაზეთების „პრავდისა" და „იზვესტიის" რედაქტორები გადააყენეს. ეს გაზეთები აღარ გამოდიან კომპარტიის ეგიდით. ამავე დროს „იზვესტიის" მთავარ რედაქტორს ეფიმოვს ბრალად დასდეს, რომ მან, შვებულებიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა, ანატოლი ლუკიანოვის განცხადებაზე სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების გადავადებისა და შემდგომი განხილვის შესახებ, 18 აგვისტოს ნაცვლად 16 აგვისტო დააწერა, რათა მისი ავტორი „კომიტეტთან" კავშირისაგან გაეცალკევებინა. როგორც ცნობილია, შეთქმულთა „მიმართვები" 18 აგვისტოს იყო შედგენილი.

**უკრაინისა** და რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა თავიანთი რესპუბლიკების ეროვნული გვარდიების შექმნა მოითხოვეს.

**კანადის** რადიოს ერთ-ერთ ცნობაში პრეზიდენტ გორბაჩოვის ტყვეობიდან დაბრუნება და პრესკონფერენციაზე მისი ზოგ შემთხვევაში ანაქრონიზმამდე მისული განცხადებები, შედარებულია ცნობილი ინგლისელი ფანტასტიკური რომანების ავტორის, ჰერბერტ უელსის ნაწარმოების „მძინარე იღვიძებს" მთავარ გმირს. ქვეყანა სამი დღის განმავლობაში სამი წლით დაწინაურდა, გორბაჩოვი კი მას ჩამორჩა, ამიტომ საბჭოთა პრეზიდენტს მომავალი არ აქვსო, აღნიშნავს კანადის რადიო.

**სანქტ-პეტერბურგის** მერმა ანატოლი სობჩაკმა განაცხადა, რომ ქალაქში სრულ დეპარტიზაციას განვახორციელებთ, რაიკომებსა და ქალაქკომებს გავაუქმებთ, კომპარტიას კი არ ავკრძალავთ. ეს რომ გავაკეთოთ, ლენინს დავემსგავსებით, რომელმაც 1917 წელს ბოლშევიკური პარტიის გარდა, ყველა პარტია გააუქმაო.

**პუტჩის** დღეებში მოლდავეთმა დიდი გაკვეთილი მიიღო. რესპუბლიკის კომპარტიამ „კომიტეტს" დაუჭირა მხარი და თან ხაზი გაუსვა, რომ ულტიმატუმის თექვსმეტივე პუნქტს ვუჭერთ მხარსო. დაინიშნა მოლდავეთის კომენდანტიც. ეს იყო გენერალი კოლესოვი, რომელმაც „გასავარჯიშებლად" სამხედროების სამოცი ავტომობილი კიშინოვისკენ გაგზავნა, თან ხმები გაავრცელა მანევრებიდან ვბრუნდებითო. ქალაქის დამცველმა „ვოლონტარებმა" შეძლეს სამხედროების კიშინოვის მისადგომებთან შეჩერება და ყაზარმებში გაგზავნა. რაც შეეხებათ გაგაუზებსა და რესპუბლიკის ე. წ. რუსულენოვან მოსახლეობას, ისინი ისე მოიქცნენ, როგორც მოსალოდნელი იყო. ტირასპოლში და კომრატში შეიქმნა „ხუნტის" ხელშემწყობი „კომიტეტები", „ინტერფაქსის" კორესპონდენტთან საუბარში ტირასპოლის „კომიტეტის" ხელმძღვანელმა რილიაკოვმა დიდი წუხილი გამოთქვა შეთქმულების დამარცხებაში და მათ მერყეობაში დასდო ბრალი.

**დანიამ** და გერმანიამ სურვილი გამოთქვეს, რომ მოსკოვმა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს. დანიის სააგენტო „რიტსაუ ბიურო" აღნიშნავს, რომ დანია შესაძლებლად მიიჩნევს საკუთარი შეიარაღების ხარჯების შემცირებას, განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების შეკვეცას და გამონთავისუფლებული თანხის აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გაგზავნას. დანია აგრეთვე მზად არის ამ რეგიონებს სერიოზული დახმარება გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების სახით. ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ქალაქებთან დამობილებულ გერმანიის ქალაქებში ძლიერდება მოძრაობა ბალტიისპირეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე.

**საბჭოთა** კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებმა თითქმის რვათვიანი ოკუპაციის შემდეგ დატოვეს ვილნიუსის რადიოტელეცენტრი. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა ჯარმა ტელეცენტრი ა. წ. 13 იანვარს ვილნიუსში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაიკავა. ამჟამად შენობაში მუშაობს ლიტვის პრემიერ-მინისტრის ვაგნორიუსის მიერ გამოყოფილი კომისია. ხდება შენობის ინვენტარიზაცია და დაზიანებათა შეფასება. წინასწარი მონაცემებით, აპარატურა მეტნაკლებად წესრიგშია, ავეჯი და შენობის ატრიბუტიკის სხვა ნაწილები კი ფაქტობრივად განადგურებულია.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა მოსკოვის საქალაქო საბჭოს საგანგებო სესია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ქალაქის მერი გავრიილ პოპოვი. მან აღნიშნა, რომ ქალაქის ბევრმა კომუნისტურმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა პუტჩისტებს, დიდმა ნაწილმა კი ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და არ დაგმო სახელმწიფო გადატრიალება. ეს ერთი და იგივე არისო, აღნიშნა პოპოვმა. მათ წინააღმდეგ აღიძვრა სისხლის სამართლის საქმე და ბევრი შესაძლოა ახლავე დავაპატიმროთ, რადგან ისინი ცდილობენ მაკომპრომეტირებელი დოკუმენტების განადგურებას. მერმა ხაზი გაუსვა, რომ ამავე დროს შეიქმნება სადეპუტატო კომისია, რომელიც იმ უღირსი დეპუტატების საქმიანობას განიხილავს, რომლებიც ანტიკონსტიტუციურ ძალებს მიემხრნენ და მათ სადეპუტატო ხელშეუხებლობის სტატუსს ჩამოართმევენო.

**უზბეკეთის** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სამდივნოს პოზიცია, რომლებიც „ხუნტას" მიემხრნენ. უზბეკი კომუნისტების ლიდერმა ქერიმოვმა აღნიშნა, რომ საკავშირო სამდივნომ უზბეკეთში დირექტივები გააგზავნა, სადაც ადგილობრივი კომუნისტებისაგან „კომიტეტის" მხარდაჭერას მოითხოვდნენ.

**ყირგიზეთის** კომპარტიის ხელმძღვანელმა აკაევმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, მარმარილოს სასახლე, რომელშიც 150 ათასამდე ყირგიზი კომუნისტის უმაღლესი მმართველობის ორგანოები თავმოყრილი, რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა. გაუქმებულია ლენინის ცენტრალური მუზეუმის ბიშკეკის ფილიალიც. მის ადგილას შეიქმნება ხალხთა მეგობრობის სასახლე, სადაც ეროვნული კულტურის ცენტრები მოთავსდება. ყირგიზი ხალხის, მათ შორის რიგითი კომუნისტების აზრით, აკაევის ეს საქციელი მხოლოდ მანევრია. მან და მთელმა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პუტჩისტებს დაუჭირეს მხარი, ამის თაობაზე მათ, ისევე როგორც საქართველოს კომპარტიამ, პრესაში ოფიციალური განცხადებაც გააკეთეს, ახლა კი თავის დაძვრენას ცდილობენო.

**მოლდავეთის** რაიონულ ცენტრ კალარაშში, რომელიც კიშინოვიდან 70 კილომეტრზე მდებარეობს, აიღეს პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ლენინის ერთ-ერთი უკანასკნელი ძეგლი. დანარჩენ ძეგლებს რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობა და გაგაუზები ინახავენ. ეს აქცია ყოველგვარი განკარგულების გარეშე განხორციელდა, კალარაშელები რესპუბლიკის ხელმძღვანელების მოწოდებით კიშინოვში პარლამენტის ეროვნული რადიოსა და ტელევიზიის, ბეჭდვითი სახლისა და სხვა ობიექტების დასაცავად იყვნენ წასულები, უკან დაბრუნებულებმა კი „ვეღარ აიტანეს" ბელადის განუწყვეტელი სტუმრობა.

**რუსეთის** ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის განკარგულების თანახმად საკდესის გენერალურმა დირექტორმა, 22 აგვისტოს ბრძანებით საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოში კომპარტიის მოღვაწეობა აკრძალა.

**23 აგვისტოს** დილით მნახველებს კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის შენობაზე ასეთი წარწერა დახვდათ: „შენობა დალუქულია". დალუქული იყო ქალაქის რაიონული კომიტეტებიც. მხოლოდ კრასნაია პრესნის რაიკომის მუშაკები მუშაობდნენ. არავინ იცის, რამდენ ხანს იქნებიან ისინი სამუშაოზე. მოსკოვის მერიე რაიონის ზამოსკვორეჩიეს რაიკომის მუშაკებმა, სადაც თავის დროზე პარტიულ გადასახადებს იხდიდა თვით ვლადიმერ ლენინი, პროტესტი გამოთქვეს შენობის დალუქვის გამო, მაგრამ ამაოდ.

**ახლახან** ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ბესმერტნიხი გადადგა. ამის შესახებ შესაბამისი განცხადება გააკეთა მინისტრის პირადმა მდივანმა.

**სუკის** ხელმძღვანელის კრუჩკოვის მაგივრად დანიშნულმა შებარშინმა 23 აგვისტოს თავისი პირველი ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმად სუკის ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარების სტრუქტურებში აიკრძალა კომუნისტური ორგანიზაციების ფუნქციონირება.

**ლატვიის** რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გუშინ მიიღო დადგენილება ლატვიის კომპარტიის ანტიკონსტიტუციური მოქმედების შესახებ. გადაწყდა, რომ ლატვიის კომპარტიის ქონება გადასცენ ხალხს და შეჩერდეს მათი საბანკო ოპერაციები. კომპრომეტირებული კომუნისტების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მათ სამშობლოს საწინააღმდეგო მოქმედებაში ედებათ ბრალი.

**გუშინ** ლიტვის რესპუბლიკის პოლიციამ დაიკავა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა. შენობაში მყოფმა კომუნისტებმა სამხედრო ნაწილებიდან გამოიძახეს ჯავშანტრანსპორტიორები და ვილნიუსში დისლოცირებულ სამხედროთა ნაწილებში გაემგზავრნენ. კომპარტიის შენობის დაკავება განხორციელდა ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტის 22 აგვისტოს დადგენილებით, ლიტვის კომპარტიის ქონების უსასყიდლოდ ხალხისთვის გადაცემის შესახებ. ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა გუშინვე დაურეკა ვილნიუსის სამხედრო გარნიზონის უფროსს პოლკოვნიკ ფროლოვს და მოითხოვა ბურკიავიჩიუსის მეთაურობით ერის მოღალატეების გადაცემა. ლიტვის კომუნისტთა ლიდერის ბურკიავიჩიუსის დაპატიმრების ორდერი გასცა ლიტვის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა პაულაუსკასმა. პოლკოვნიკმა ფროლოვმა განაცხადა, რომ ლიტველ კომუნისტთა ლიდერების ადგილსამყოფელი ჩემთვის უცნობიაო.

**გაზეთი** „ვაშინგტონ პოსტს" მოჰყავს რუსეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატის ვლადიმერ ლისენკოს სიტყვები, რომ პუტჩისტებმა ფოროსიდან გაიტაცეს გორბაჩოვის ხელჩანთა, რომელშიც საბჭოთა ბირთვული რაკეტების გასაშვები კოდები იყო. ლისენკო რუსეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი იყო, რომელიც გორბაჩოვს აგარაკზე ესტუმრა და ეს ამბავი მისგან გაიგო. „შედეგები შესაძლოა კატასტროფული ყოფილიყო, სამი დღის განმავლობაში მსოფლიოს ბედი ბანდიტთა ხელში იყო, რომლებსაც გორბაჩოვმა „ავანტიურისტები" უწოდა, ხოლო ელცინმა „თაღლითები", წერს „ვაშინგტონ პოსტი".

**როგორც** გუშინ რუსეთის დეპუტატებთან შეხვედრაზე განაცხადა სსრ კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა, „ცხრა პლუს ერთი" შეხვედრის ფარგლებში დათქმულია ქვეყნისა და რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ახალი მიდგომა ხელმძღვანელობაში საკადრო ცვლილებებისადმი. გადაწყდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის საკითხი, ამ პოსტზე აპირებენ დანიშნონ სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი შაპოშნიკოვი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის უშიშროების საბჭოს წევრი ბაკატინი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი ბარანიკოვი. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახლანდელი მთავრობა მთელი შემადგენლობით უნდა გადადგეს.

**გუშინ** მოლდავეთის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა გამოსცა ბრძანება მოლდავეთის სრული დეპარტიზაციის შესახებ. საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან გამოსვლის სურვილი გამოთქვა მოლდაველ კომუნისტთა თავკაცმა ერემეიმ. ამის შესახებ მან პრეზიდენტ გორბაჩოვს დეპეშა გაუგზავნა.

**გერმანიის** საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა ბონში ვიზიტად მყოფ ლიტვის ყოფილ პრემიერ-მინისტრს კაზიმირა პრუნსკიენეს ერთსაათიანი საუბრის დროს განუცხადა, რომ პუტჩის დამხობის შემდეგ ბალტიის რესპუბლიკები უფრო მალე მიაღწევენ დამოუკიდებლობას, რადგან სამხედროებისგან დაწოლა აღარ ექნებათო. გენშერის აზრით, საჭიროა ევროპის თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან დაიწყოს მოლაპარაკება, ხოლო ევროპის თანამეგობრობის კომისიებმა დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის მოამზადოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ასოცირებული წევრობა. ამის შემდეგ კი გერმანია ცნობს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, განაცხადა ჰანს დიტრიხ გენშერმა.

# ბორის ელცინის მიმართვა

**ძვირფასო თანამემამულენო!**

რამდენიმე დღის წინათ მოგმართეთ თქვენ, რუსეთის ყველა მოქალაქეს, მოწოდებით საკადრისი პასუხი გაგეცათ მაღალი თანამდებობის პუტჩისტთა ხროვისათვის, წინააღმდგომოდით მათ მისწრაფებას ჩაეხშოთ დემოკრატიული პროცესები ქვეყანაში, არ დაგეშვათ, რომ მრავალტანჯული ხალხი მოეცვა სამოქალაქო ომის ქაოსს.

შექმნილ დრამატულ, ზოგჯერ კი კრიტიკულ სიტუაციაში დანაშაულებრივ შეთქმულებას დაუპირისპირდა ძალა — ხალხის ძალა, რომელმაც მოიშორა 70-წლიანი მონობის ბორკილები.

სწორედ მოსახლეობის ყველა ფენის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, საბჭოთა არმიის პატრიოტულად განწყობილი მეომრების, რუსეთის სფს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების მეოხებით რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მტკიცე მოქმედებამ ნამდვილი ძალა შეიძინა და უზრუნველყო პოლიტიკურ ავანტიურისტებზე გამარჯვება, რომლებიც გასამართლდებიან.

ამჟამად შეიქმნა პირობები და გაჩნდა შესაძლებლობანი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის, რუსეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა. ყბადაღებული „საბჭოთა ხელმძღვანელობის" ანტიკონსტიტუციური აქტები აღიარებულია ბათილად, კვლავ იზეიმა კანონმა.

გულწრფელ მადლობას ვუხდი რუსეთის სფს რესპუბლიკის შრომით კოლექტივებს, სამხედრო მოსამსახურეებს, ყველა მოქალაქეს მხარდაჭერის და სოლიდარობისათვის რუსეთის სახელმწიფოსათვის ესოდენ მძიმე ჟამს.

გამოვთქვამ რწმენას, რომ სწორედ ეს საათი გახდება საზოგადოების ნანატრი კონსოლიდაციის დასაწყისი პროგრესისაკენ წინსვლის გზაზე.

საყოველთაო გაფიცვის, როგორც პუტჩისტთა უკუგდების საშუალების აუცილებლობამ ჩაიარა.

მოვუწოდებ ყველა თანამოქალაქეს ეროვნული ერთიანობის სახელით შეუდგეს აღმშენებლობით მუშაობას, რომლის მიზანია რუსეთის ეკონომიკური და სოციალური განახლება, მისი დამოუკიდებლობისა და ძლიერების განმტკიცება.

**რუსეთის სფს რესპუბლიკის
პრეზიდენტი
ბ. ელცინი.**

## ავტომობილი კედელზე

POLICE
3801

**შვეიცარიის** კეისტონის სააგენტოს ერთ-ერთი ფოტოჟურნალისტი შეერთებული შტატების ფლორიდის შტატში ჩავიდა, სადაც უცნაური სურათი ნახა... პოლიციის ავტომობილი კედელზე იყო მიმაგრებული. მას უთხრეს, რომ სტენდს ეწოდება „ამერიკული პოლიციის ღირსება", როგორც ჩანს, დამნაშავეებს ყოჩალი პოლიციელებისგან ჰაერშიც არ ექნებათ მოსვენება, მათ ყველგან მიაგნებენ.

**სურათზე:** „ამერიკის პოლიციის ღირსების" სტენდთან.

# რამდენიმე სტრიქონით

**ჩილეს** ისტორიაში ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩინეს ქვეყნის ჩრდილოეთში. კოლუმბიის ნარკობიზნესის კუთვნილი სატვირთო ავტომობილში 922 კილოგრამი კოკაინი აღმოჩნდა, დაპატიმრებულია სამი კოლუმბიელი კონტრაბანდისტი.

**ცენტრალური** ამერიკის ქვეყნების 25 მილიონამდე კაცს წერა-კითხვა არ შეუძლია. ყველაზე გაუნათლებელი ქვეყანა გვატემალაა, რომლის მოსახლეობის 47 პროცენტს საკუთარი ქვეყნის სახელწოდების წაკითხვა არ შეუძლიათ, და ასოებს, როგორც ჩინურ იეროგლიფებს, ისე უყურებენ. ჰონდურასში ეს მაჩვენებელი 40 პროცენტს შეადგენს, სალვადორში კი 36 პროცენტს. ეს ქვეყნები გაეროს სრულუფლებიანი წევრები არიან. საქართველოს კი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, არამარტო წერა-კითხვა იცის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უკულტურესი ქვეყანაა, თავისი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის დამტკიცება უხდება ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

**კუბის** ხელისუფლებამ შეერთებულ შტატებს თხოვნით მიმართა, რომ ნუ ისარგებლებთ საბჭოთა კავშირში შექმნილი რთული პოლიტიკური კრიზისით და კუნძულზე ნუ შემოიჭრებითო.

**ამერიკელი** მეცნიერები კიდევ ერთხელ შეეცადნენ კონტროლს დაექვემდებარებინათ და ამით გადაერჩინათ კოსმოსური თანამგზავრი „გალილეი", რომელიც მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტის, იუპიტერისაკენ მიფრინავს. თანამგზავრს გეგმის მიხედვით პლანეტისათვის 1995 წლისათვის უნდა მიაღწია, მაგრამ მიმღებ ანტენებში ხარვეზების წარმოშობის შემდეგ უმართავი გახდა. ბოლო ცდაც წარუმატებელი გამოდგა. „გალილეის" გამშვების მთელი პროგრამა 1,3 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

**დანიის** საგარეო საქმეთა მინისტრმა უფე ელემან-იენსენმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს განმეორებით ცნოს ესტონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ეს 1921 წელს უკვე გავაკეთეთ, რაც სრულიად საკმარისი არისო, ხოლო 1940 წელს ესტონეთის ოკუპაცია წითელი არმიის მიერ არასოდეს გვიცნიაო, აღნიშნა მინისტრმა.

**ბევრისათვის** ცნობილია პარიზის ბართლომეს ღამე და შუასაუკუნეების საფრანგეთში მიმდინარე რელიგიური ომები კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ეს ომი დღესაც გრძელდება მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფოში შედის. ირლანდიელები კათოლიკეები, აქ ჩასახლებული ინგლისელები კი ანგლიკანები არიან. ირლანდიელებს კათოლიკურ ირლანდიასთან შეერთება სურთ, ინგლისელებს კი არა. ირლანდიელების ინტერესებს გამოხატავს შინ ფეინის პარტია, რომლის ლიდერმა ადამსმა განაცხადა, რომ სურვილი აქვს კონფლიქტი მშვიდობიანად მოწესრიგდეს. კონფლიქტი კი სერიოზულია. უკვე ოცი წელია ჩრდილოეთ ირლანდიაში ნამდვილი ომია, რომლის დროსაც დაიღუპა სამი ათასი და დაიჭრა ოცდაათი ათასი ადამიანი. ჩრდილოეთ ირლანდიის ინგლისელებს მხარს უჭერს ბრიტანეთის არმია, ამიტომ მათ კვლავ უარყოფენ ადამსის წინადადებას. კონფლიქტი კი, რომელიც ეროვნულ-რელიგიური ნიშნით მიმდინარეობს, კვლავ გრძელდება.

**წყნარი** ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე ტონგის სახელმწიფოს მეფემ ტაუფაჰაუ ტუპოუ IV თავისი ბიძაშვილი ბარონი ვაეა პრემიერ-მინისტრად დანიშნა. მან ამ პოსტზე ოცდაექვსწლიანი მუშაობის შემდეგ მეფის ძმა შეცვალა. ახალი პრემიერი სამოცდაათი წლისაა და ადრე შრომისა და ვაჭრობის მინისტრი იყო.

**ამერიკული** ჟურნალის „ფორჩუნის" მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კაცი ბრუნეის სულთანია. მისი ქონება 31 მილიარდ დოლარად ფასდება. მეორე ადგილზეა ამერიკელი სემ უოლტონი, რომელიც „უოლ მარტ სთორ ინკის" კომპანიას ფლობს. მისი კაპიტალი 21 მილიარდი დოლარია. მსოფლიოს მილიარდელთა რიცხვში 22 ქალია, რომელთა უმრავლესობა შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

**რეიტერის** სააგენტო იუწყება, რომ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირს შიმშილი ემუქრება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა არ იციან ზედმეტი მოსავალი სად წაიღონ. დასავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ძალიან ძნელია, რადგან დასავლეთ ევროპელებს საკუთარი პროდუქციაც თავზე საყრელი აქვთ. სხვა რეგიონის ბაზრებზეც დასავლეთ ევროპელთა პროდუქცია ბატონობს. უნგრეთი ფიქრობს, რომ მიმდინარე წელს ხორბლის მოსავალი 14,2 მილიონ ტონას გადააჭარბებს, რაც შარშანდელთან შედარებით 2 მილიარდი ტონით მეტია. ბულგარეთი და რუმინეთი ხორბლის მოსავლის ზრდას ელიან, ანალოგიური ვითარებაა პოლონეთში და ჩეხეთ-სლოვაკეთში.

**საბჭოთა** კავშირის სახელმწიფო ბანკი იუწყება, რომ დღეიდან სპეციალური ბანკები შეძლებისდაგვარად იხსნებენ საზღვარგარეთ მიმავალ მოქალაქეებზე ვალუტის გაცემას.

## ნახტომი უსასრულობაში



**გერმანულმა** ყოველკვირეულმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა „შტერნმა" მკითხველებს ახალი პოპულარული გასართობის შესახებ მოუთხრო, რომელიც პროფესიულმა კასკადორმა იოაჰიმ შვეიცერმა მოიგონა. იგი ორი წლის განმავლობაში მიდიოდა მიზნისაკენ, ხვეწდა ტექნიკას და თითქმის სრულყოფილებას მიაღწია.

მიუნხენის ჩრდილოეთ ნაწილში, ოლიმპიური რეგატის ტრასაზე ფუნქციონირებს მისი სკოლა, რომელშიც ყველას, ვისაც აქვს 150 მარკა, შეუძლია თავი გამოსცადოს და ყველას აჩვენოს, თუ რისი შნო აქვს.

50 მეტრის სიმაღლის ანძაზე ღია კალათაა მიმაგრებული, რომლის გახსნილი კარიდან შესაბამისი ნიშნის მიცემის შემდეგ დაინტერესებული პირი ხტება, როგორც კი წყლის ზედაპირს მიუახლოვდება, მაშინვე ზევით აიტყორცნება და ასე რამდენჯერმე, მალე იგი ახლობლებისა და მეგობრების წრეში მოექცევა., მას წელზე და ფეხზე ხელის სიმსხო რეზინის ბაგირი აქვს მიმაგრებული. ბაგირის სიგრძე ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მხტომელის წონას. გაანგარიშებას ხტომის წინ კომპიუტერი აწარმოებს და მას ჯერ არასოდეს შეუშლია. ხტომის დროს მხოლოდ ერთი საფრთხეა მოსალოდნელი. უკან ატყორცნილ მხტომელს, რომელიც თოჯინასავით ტრიალებს, შეიძლება ყელზე ბაგირი დაეხვიოს. ამიტომ მძაფრი გრძნობების მოყვარულებს ხტომის წინ ურჩევენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ყელი ხელებით დაიფარონ, რაც როგორც ინსტრუქციაში წერია „ძალიან ახანგრძლივებს სიცოცხლეს".

ხტომის მსურველები ბევრია. ჟურნალი იუწყება, რომ უკანასკნელ მომენტში ყოველი მეასე მამაკაცი და ყოველი მესამასე (?) ქალი უარს ამბობს ნახტომზე, თუმცა ამის გამო იგი გადახდილ საფასურს ვერ დაიბრუნებს. შთაბეჭდილებების წიგნი სავსეა ჩანაწერებით. რას არ შეხვდებით აქ. ერთი მხტომელის აზრით, მის მიერ განხორციელებული ნახტომი, რომელიც რამდენიმე წამს გრძელდება, „ცხოვრების კულმინაცია იყო და თითქოს იგი აბსოლუტურად თავისუფალი, მაღლა უსასრულობაში მიფრინავდა".

იოაჰიმ შვეიცერის ატრაქციონი ძალიან მოეწონათ ბოხუმში და კოპენჰაგენში, მალე მას ბერლინშიც აჩვენებენ. ვარაუდობენ, რომ მალე გართობის ეს ფორმა ევროპაში და შესაძლოა მსოფლიოშიც გავრცელდეს.

## ვინ ვინ არის

# ნახეს გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან

**ზიზღს** იწვევს აშკარად რეაქციული ორგანიზაციების, პირების ცდები თავი წარმოგვიდგინონ სსრ კავშირში სამხედრო-პარტიული პუტჩის ჩავარდნის შემდეგ, კანონისა და დემოკრატიის თავგამოდებულ ქომაგებად. თუ საბჭოთა პარტიული პრესის ფლაგმანი გაზეთი „პრავდა" უკვე გამოცდილია მსგავს მანიპულაციებში, და 23 აგვისტოს მოწინავე სტატიაში ნაძალადევი პათოსით სამარცხვინო ბოძზე აკრავს „ზნეობრიობისა და ადამიანის უფლებათა მაღალი პრინციპებისათვის" შეთქმულებს, სხვებს ასეთი მანევრირება გაცილებით უჭირთ.

რაღაც ამის მსგავსი მოუვიდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს. როგორც ჩანს, 21 აგვისტოს დილით, როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალების ბედი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. მიქანბას ხელმოწერით გამოსცა განკარგულება, რომელშიც, კერძოდ აღნიშნულია: „საგანგებო კომიტეტის ნომერ პირველი დადგენილებისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 19 თებერვლის დადგენილების შესრულებისათვის..." განხორციელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებანი. შემდეგ დოკუმენტში გვხვდება ასეთი სიტყვები: „საგანგებო კომიტეტის დადგენილე- [illegible]

[illegible] ეის წინააღმდეგ მებრძოლ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას?

და, ბოლოს, „არ დავუშვათ მი- [illegible]

[illegible] ლმძღვანელების განზრახვის გამო ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მაგრამ არ [illegible]

[illegible] კიდევ ერთი განკარგულება, რომლითაც მოსახლეობას მოუწოდებენ მართლწესრიგის განმტკი- [illegible]

[illegible], საქინფორმის კორ.

## გამოხმაურება

# არ ხუმრობენ!

**მოგეხსენებათ** მოსკოვი გამოსცემს ისტორიულ-კულტუროლოგიურ ჟურნალს „ნაშე ნასლედიე" („ჩვენი მემკვიდრეობა"), რომელიც მიჩნეული იქნა 1990 წლის ევროპის საუკეთესო ლიტერატურულ-მხატვრულ და ისტორიულ-კულტურულ გამოცემად. ამ ჟურნალის 1991 წლის 1 ნომერში გამოქვეყნდა სამი ნარკვევი საქართველოს შესახებ. ერთ-ერთი წარმოადგენს ინტერვიუს საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარესთან თენგიზ ბუაჩიძესთან. „ჩვენს რესპუბლიკებს რომ ჰქონდეთ კავშირიდან გასვლის რეალური უფლება ისინი ამას ნაკლებად მოინდომებდნენ. დაე, ყოველი რესპუბლიკა გახდეს დამოუკიდებელი და პირველ რიგში რუსეთი".

მაშ ასე. პატივცემული პროზაიკოს-მეცნიერის აზრით საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ განაპირობებს არა ყოველდღიური ძალადობა, რომლის მოწმენიც ვართ საქართველოს მკვიდრნი, არა მოსკოვის ყოველდღიური სისხლიანი ბრძოლა ამიერკავკასიაში ბატონობისათვის (მკითხველებს თუ დაგავიწყდათ, გაიხსენეთ თუნდაც შიდა ქართლისა და აფხაზეთის მოვლენები), არამედ სსრკ კონსტიტუციაში ჩაწერილი გასვლის უფლების არარეალურობა. ამ თითქოს მიამიტი მსჯელობისათვის რადიკალური ხასიათის მისანიჭებლად თენგიზ ბუაჩიძე დამოუკიდებლობას უსურვებს რუსეთსაც. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ასწავლის ელცინს ჭკუას, არ მოაწეროს ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ვითომ ასეა? ვფიქრობთ, რომ არა. იმავე 1991 წელს, იმავე მოსკოვის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ამერიკელი ფინანსისტის, მულტი-მილიონერის, ამერიკული ბიზნესის ერთ-ერთი ლიდერის ჯორჯ სოროსის წიგნი „საბჭოთა სისტემა ღია საზოგადოებისაკენ". ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ სოროსის მიერ შექმნილი საბჭოთა-ამერიკული ფონდი „კულტურული ინიციატივის" გამგეობაში 1987 წელს შევიდა ჩვენი კარგი ნაცნობი თენგიზ ბუაჩიძე (გვ. 30). ეს არ იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო, ვინაიდან ბ-ნ თენგიზს უფლება აქვს შევიდეს სადაც უნდა, მაგრამ უაღრესად საყურადღებოა თვით ჯორჯ სოროსის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. მის მრავალმხრივ, ნამდვილად საინტერესო ნაშრომში ამაზეც ვპოულობთ პასუხს: „ჩვენ **(ანუ ამერიკელებმა და თავისუფალი სამყაროს სხვა შვილებმა. გ. მ.)** უნდა განვასხვავოთ აღმოსავლეთ ევროპა და საბჭოთა კავშირი ზუსტად ისე, როგორც ეს გააკეთა გორბაჩოვმა. მან მოქმედების თავისუფლება მისცა აღმოსავლეთ ევროპას და გზა დაულოცა დემოკრატიისაკენ. მაგრამ იგი ყოველნაირად ცდილობს საბჭოთა კავშირის ხსნას რღვევისაგან.

საბჭოთა კავშირისთვის სიცოცხლისუნარის მისანიჭებლად არსებობს ერთადერთი გზა — მისი გარდაქმნა კონფედერაციად. აზრად მოგვდის ბრიტანეთის თანამეგობრობის მაგალითი, იმიტომ, რომ იგი წარმოიქმნა ბრიტანეთის იმპერიიდან და კიდევ მეტი ავტონომია მიანიჭა თავის შემადგენელ ნაწილებს. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის თანამეგობრობამ ვერ შესძლო ბოლომდე ერთ მთლიანობად დარჩენა და იგივე შეიძლება დაემართოს საბჭოთა კავშირსაც. მაგრამ არსებობს იმედი, რომ საბჭოთა კავშირი აჩვენებს ერთიანობის მაღალ ხარისხს, ვინაიდან იგი შედგება ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული და გეოგრაფიულად მეზობელი ნაწილებისაგან. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ უნდა ისწავლონ ერთად ცხოვრება მისმა მოსაზღვრე რეგიონებმა.

საბჭოთა კავშირის გარდაქმნა კონფედერაციად ძალიან მომგებიანი იქნებოდა დასავლეთისათვის. ეს ბევრად შეამცირებდა სამხედრო მუქარას, რომელსაც საბჭოთა კავშირი პოტენციურად წარმოადგენს როგორც მონოლითური სახელმწიფო. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სამოქალაქო კონფლიქტი თვით საბჭოთა კავშირის შიგნით, ხიფათს შეუქმნის მთელ რეგიონს. ასეთი გადაწყვეტილება ბევრ რამედ ღირს და დასავლეთმაც ბევრი უნდა გაიღოს ამისთვის" (გვ. 158-159).

ვეკითხებით ბ-ნ თენგიზს ეთანხმება თუ არა თავისი ამერიკელი „პატრონის" შეხედულებებს და რატომ?

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გაზეთი „რესპუბლიკის" 30 ივლისის ნომერში დაიბეჭდა გულახდილი დიალოგი კონგრესის წამყვან ფიგურასთან ბ-ნ გიორგი შენგელაიასთან სათაურით „შენება სიყვარულს ძალუძს"... ბ-ნი გიორგი ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ბრძანებს შემდეგს: „იმისთვის, რომ ერი მაქსიმალურად იყენებდეს თავის პოტენციალს — ნიჭს, შესაძლებლობებს, საწარმოო ძალებს, უთუოდ თავისუფალი უნდა იყოს. ეს უდაოა. მაგრამ ისტორიაში შეიძლება ერს დაუდგეს ისეთი დრო, **როდესაც ფიქრი დამოუკიდებლობაზე ძველი გაგებით მავნეც კი აღმოჩნდეს**" (გვ. 18, ხაზგასმა ჩემია გ. მ.).

მოგეხსენებათ, დიალოგი ორ მხარეს გულისხმობს. მეორე მხარედ, ამ შემთხვევაში, გალინა ხარებაშვილი მოგვევლინა. ქ-ნი გალინა „ტაქტიან", „მორიდებულ" კომენტარებს უკეთებს ცნობილი შემოქმედის პოზიციას.

„ალბათ, მართლაც უკიდურესობათა ხალხი ვართ. შეიძლება ხშირად გვიჭირს „ოქროს შუალედის" მოძებნა. მთლიანად, განუყოფლად გვინდა ის იდეალი ჩვენ, ჯერ კიდევ გუშინ ნამცეცებზე რომ ვოცნებობდით, თანაც უცებ ერთნაირად. კი ესეც გასაგებია: მეტისმეტად მძიმე იყო ის უღელი, მეტისმეტად დიდხანს რომ გვიხერხავდა კისერს. მოთმინების ფიალაც ხომ უძირო არ არის. ალბათ, გაუთავებელმა კომპრომისებმაც მოგვაბეზრა თავი, ამიტომ გვიჭირს ახლა დათმობა, კიდევ დათმობა..."

როგორც ბ-ნ თენგიზთან, ასევე დიალოგის მონაწილეებთან გვებადება კითხვა: რა აქვს დასათმობი დღევანდელ საქართველოს?

შესაძლოა ამ კითხვაზე პასუხად გამოდგეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს თავმჯდომარის, გადამთიელი ბ-ნი მამია ბერიშვილის წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი (24 ივლისი 1991 წ. გაზეთი „ერთობა" №6). ამ წერილის ფინალი უდავოდ შთამბეჭდავია და შემდეგს ღაღადებს: „გორბაჩოვი და მისი ამქარი ახლა ხაფანგში გაბმულ მხეცს ჰგავს, რომელსაც უამრავი უბედურების მოტანა შეუძლია საქართველოსთვის. ამიტომ ვფიქრობ, მათთან ჯერჯერობით მხოლოდ ლოიალური, მოქნილი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აჯობებდა".

ბ-ნი ბერიშვილი მოითხოვს, რომ ლოიალური დამოკიდებულება გვქონდეს იმ ამქართან, რომლის პოლიტიკასაც სარჩულად ედო ცნობებული სახაროვის ყბადაღებული კონსტიტუცია, ანუ იმ ამქართან, რომელმაც საბჭოთა კავშირის ახალ ტერიტორიულ მოწყობას „პერესტროიკა" უწოდა. პალეობოლშევიკებმა გაანადგურეს ქართული სახელმწიფო, ჩამოაშორეს მას ტაო-კლარჯეთი, საინგილო და სხვა მიწები. ნეობოლშევიკები ცდილობენ საქართველოს დარჩენილი სხეულის ხელახალ დანაწილებას. ამისთვის ქომაგობენ პროფესიონალ მკვლელებს და იდეოლოგებს, საბჭოთა ჯარისა და საიდუმლო სამსახურების მეშვეობით აიარაღებენ მათ, დაუნდობლად უსწორდებიან ქართველებს საქართველოში (შიდა ქართლში, აფხაზეთში და სხვაგან). ლოიალობა მათთან? ჩვენ პალეობოლშევიზმის გარდა სწორედ ამ „პერესტროიკას" ვებრძოდით და ვებრძვით. და ლოიალურები ვიქნებით მხოლოდ მათთან, ვინც სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ქართველი ერის თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების უფლებას. ლოიალურობა სახაროვ-სტაროვოიტოვას „კრუჟოკთან", ვფიქრობთ, ნებისმიერი ქართველისთვის სათაკილო უნდა იყოს. რაგინდ ცნობილი შემოქმედიც არ უნდა იყოს ის.

ახლოვდება სამოკავშირეო ხელშეკრულების თარიღი — უაღრესად გააქტიურდნენ მისი მომხრეები, ჯორჯ სოროსი იქნება ეს თუ შევარდნაძე. საქართველოში ჰყოლიათ მათ მრავალი მიმდევარი, თუნდაც თენგიზ ბუაჩიძის და გიორგი შენგელაიას სახით. ისეთ მდგომარეობაში არიან ისინი, ჯერჯერობით, რომ სათქმელს პირდაპირ ვერ ამბობენ. გასულ წლებში, მხოლოდ 3 კაცმა გაბედა სამოკავშირეო ხელშეკრულების იდეის ღიად და აშკარად დაცვა: ცნობებული მერაბ მამარდაშვილის მიმდევარმა ფილოსოფოსმა გ. ნოდიამ, საბჭოთა მწერლების ახალი საკავშირო გაერთიანების ერთ-ერთმა შემქმნელმა ცნობილმა მწერალმა ჭ. ამირეჯიბმა და არანაკლებ ცნობილმა კინორეჟისორმა ლ. ღოღობერიძემ, რომელმაც ევროპაში გაუწია პროპაგანდა გორბაჩოვისეული ფედერაციის კონცეფციას. დღეს, მათ რიგებს აქტიურად ემატებიან ახალი ძალები. დღეს კიდევ ლაპარაკობენ ვიღაც-ვიღაცები, რომ ოპოზიცია იდევნება საქართველოში ხელისუფლების მიერ. პოზიციას და ოპოზიციას შორის რეალური საზღვარი გადის განახლებული ფედერაციისა თუ კონფედერაციის მომხრეთა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღორძინების მომხრეთა შორის. „კონფედერატები" გრძნობენ რა თავისი პოზიციის აბსოლუტურ გაუმართლებლობას, ქარაგმებით გველაპარაკებიან. უპირატესად კი კულისებში მოქმედებენ. და აი, ახლაც კი, ვერც ბუაჩიძემ, ვერც შენგელაიამ პირდაპირ ვერ თქვეს სათქმელი — სოროსისაგან განსხვავებით ვერ ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები. ალბათ, იმიტომ რომ სოროსი თავისი ქვეყნის პოლიტიკას ახორციელებს, ხოლო ჩვენებურთა ხსენებული დასი კი ახალ, „თავისუფალ" სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის იბრძვის.

ბევრჯერ ითქვა და ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ საქართველოში აუცილებელია კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობა და სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ მეტ-ნაკლებად ფარულ მოწინააღმდეგეთ, კონფედერატებო, სწორდით! (გამოჩნდით, თქვენი ჭირიმე!)

**გიორგი მარჯანიშვილი,**

P.S. წერილი უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, როდესაც ცნობილი გახდა აშშ პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შედეგები. კიევში გამოსვლისას მან მოუწოდა უკრაინელებს და ამით ყველა დაპყრობილ ხალხებს, ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ე. ი. ოფიციალურ დონეზე დაადასტურა ინტერესი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისადმი. მოტივიც საინტერესო იყო: „ამერიკელები არ დაუჭერენ მხარს იმათ, ვინც დამოუკიდებლობას ესწრაფვის შორიდან თავს მოხვეული ტირანის ადგილობრივი დესპოტიზმით შეცვლის მიზნით. ისინი არ დაეხმარებიან იმათ, ვინც ხელს უწყობს ერთაშორის სიძულვილზე დაფუძნებულ საკუთარი თავის გამანადგურებელ ნაციონალიზმს".

ეს მკაცრი შეფასება როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა, ქართველს ეკუთვნის. უნდა მივულოცოთ წარმატება ქართველ და არაქართველ დემოკრატებს. ბუშისა და გორბაჩოვის დასაცინი გახდა თვით აზრი საქართველოს დამოუკიდებლობისა. შევარდნაძის ფრთა, უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ ერთ გამარჯვებას ზეიმობს და ეს ზეიმი ვიღაცათა თვალში ნამდვილი საკაცობრიო მონაპოვრის სახეს ღებულობს.

ეს გამარჯვება დროებითია. დროებითობის შეგრძნებას აძლიერებს ისევ და ისევ ბუშის სიტყვები: „ყველაზე საიმედო კრიტერიუმი, რომლითაც ვსჯით თუ რამდენად თავისუფალია ესა თუ ის ქვეყანა ისაა, თუ რამდენად თავისუფლად გრძნობენ თავს უმცირესობანი... უკრაინასა და რუსეთში, სომხეთში და ბალტიაში ხარობს თავისუფლების სული".

ამ სიტყვებით თავისუფლების ეტალონად ბუში გვიყენებს სომხეთს. საიდანაც ბოლო წლებში მთლიანად განდევნეს აზერბაიჯანელები. შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავით. ბოლნისის „აჯანყების" შემდგომ გაგვეყარა აზერბაიჯანელები, ახალციხის „აჯანყების" შემდგომ სომხები, ცხინვალის „აჯანყების" შემდეგ ოსები, გუდაუთისა კი აფხაზები და ამის შემდეგ ჩაითვლებოდა საქართველოც თავისუფლების ბასტიონად. მაგრამ ბუშის ეს სიტყვები ხომ მარტივ ტყუილზე და პოლიტიკანობაზეა აგებული. ეს დაადასტურა რეფერენდუმმა და არჩევნებმა, როდესაც არაქართველთა უდიდესმა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა.

ამ შემთხვევაში ბუშისათვის მთავარია მოიკლას რუსეთისაგან დამოუკიდებლობის იდეა, და მკვლელებიც მზად არიან ასპარეზზე გამოსასვლელად. დღევანდელი პოლიტიკური პროცესის წინააღმდეგობათა მთავარი კვანძი სწორედ აქაა. ქართველ „დემოკრატთა", სახალხო ფრონტისა და „ეროვნული" კონგრესის შემოქმედთა ნართაული საუბარი გვარწმუნებს იმაში, რომ ისინი სწორედ ერთიანი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრენი არიან. ბუშ-გორბაჩოვის ალიანსი რუსეთის და საქართველოს „დემოკრატების" პირით, დისკრედიტაციას უწევს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, შეიარაღებული ტერორისტების ხელით ცდილობს მოკლას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერსპექტივა. პრომოსკოვურ და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ძალებს შორის პლურალიზაცია გარდაუვალია. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებთ „კონკურენტებს": ფედერალ-კონფრომისტებო — სწორდით"!

## საკუთარ სახლში

### სწავლულთა დახმარებით

**გარდაბანი.** შარშან შემოდგომაზე დათესილი შვრიისა და ცერცველას, ხოლო წლეულს მარტში გამოთავისუფლებულ ფართობებზე სუდანურას მოსავლის აღებამ საკვებმომპოვებლებს შესაძლებლობა მისცა, რომ წელიწადში ორი მოსავალი მოიწიონ და თითოეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი მწვანე მასა აწარმოონ, — გვითხრეს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა, რომლებმაც რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველმხრივ გამოსცადეს მათ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის ეფექტიანობა.

ჩინებული შედეგიც მიიღეს: საგრძნობლად გადიდდა საკვები ერთეულების, პროტეინის, სხვა ცილოვანი ნივთიერებების შემცველობა. ისიც დადასტურდა, რომ ახალი ტექნოლოგია წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ვაკე, ისე მაღლობ ადგილებში. ეს კი ნიადაგის მაქსიმალური უკუგებით გამოყენების ახალი რეზერვების ამოქმედების შესაძლებლობებს ქმნის.

### ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

**„საქსოფლმშენის"** №8 ტრესტის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა შემჭიდროებულ ვადებში ააგონ მიწისძვრის შედეგად დანგრეული შუქრუთის, კალაურის, სკინდორისა და ჭიათურის ზონის სხვა სოფლების მკვიდრთა საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობანი.

— სოფელ პერევისაში შევქმენით საშენი მასალის ბაზა, სადაც განლაგდა ხე-ტყის, თუნუქის, ცემენტისა და სხვა მასალების საწყობები. 1560 დანგრეული და დაზიანებული სახლიდან 1230 უკვე 20 აგვისტოსათვის აღვადგინეთ, გვითხრა ტრესტის მმართველმა მ. ფირცხალაიშვილმა. — უფრო უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ ხელს არ გვიშლიდეს ცემენტისა და საწვავის არარიტმული მოწოდება. ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდის, რომ მძლავრი ამწევები და უახლესი სატვირთო ავტომობილები უქმად დგანან, სახლებს კი ძველი, მამაპაპური ნაჯახებითა და ეჩოებით ვაშენებთ, რაც დიდ დროს გვართმევს.

მშენებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ აგრეთვე კასპის ცემენტის ქარხნის ცუდი, უწესრიგო მუშაობის გამო. მათ მიერ მოწოდებული შიფერი და სხვა მასალა იმდენად უხარისხოა, რომ ზოგჯერ იძულებული ვართ მათ გამოყენებაზე უარი ვთქვათ, — გვითხრა ბატონმა შოთამ. — თუ საშენი მასალის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს დროულად გადავწყვეტთ, მშენებლები სიტყვას საქმით დავამშვენებთ — მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მშრომელები დათქმულ ვადაზე ადრე იზეიმებენ ახალ ბინებში შესახლებას.

### მგზავრთა გასაჭირი

**ბენზინის** უქონლობის გამო ბილეთები გაიყიდება ავტობუსის მოსვლის შემდეგ! — ასეთი განცხადებით ეგებებიან მგზავრებს ნავთლუღის ავტოსადგურის მესვეურები, რომლებიც თბილისის რკინიგზის საკვანძო სადგურის ვაგზალში არიან მოკალათებული და საჭირო ზომებს არ იღებენ მგზავრთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

როგორც გაქონილ მუყაოზე წაწერილი „ცნობიდან" ირკვევა, ამ სადგურიდან რესპუბლიკის 30 მსხვილი დასახლებული პუნქტისაკენ მიემართებიან ავტობუსები. მაგრამ, მგზავრი ბევრიც რომ ეცადოს, მაინც ვერ გაიგებს, თუ სად გაჩერდება ავტობუსი, რომელსაც ბენზინი ექნება და რომლის მძღოლი რეისში წასვლას „მოისურვებს".

ასეთი განუკითხაობა კი იმის შედეგად შეიქმნა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის ყოფილი სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ 3 წლის წინათ სადგურის ახალი შენობის აგება გადაწყვიტა. ამიტომ ძველი შენობა და დამხმარე ნაგებობანი დაანგრიეს, მშენებლობის პროექტის შედგენა კი მხედველობიდან „გამორჩათ".

დღეისათვის ფულიც აქვთ და სურვილიც, რომ სადგური ააშენონ. მაგრამ პროექტის დამტკიცებას საშველი არ დაადგა.

განაწამები მგზავრები იძულებული არიან რკინიგზის ვაგზლის შენობის მეორე სართულზე მოკალათდნენ და თან გამოცდილი „შუამავლები" დაიქირაონ, რომლებიც ავტობუსების მოსვლა-წასვლისა და მგზავრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებისათვის იზრუნებენ.

**ოთარ ალექსიძე,**
საქინფორმის კორ.

## რეკლამა

**ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის ტერიტორიული დაქვემდებარების ყველა სახელმწიფო (გარდა საბიუჯეტო) და კოოპერაციული საწარმოს და ორგანიზაციის საყურადღებოდ**

**სახელმწიფო** გაერთიანება „საქავტოგზა" აცხადებს, რომ აღნიშნული ქალაქების ტერიტორიაზე განლაგებული ზოგიერთი სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 15 თებერვლის № 92 დადგენილებით განსაზღვრული ფულადი შენატანებით მონაწილეობის თანხებს კვლავ რიცხავენ ყოფილ საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს ანგარიშსწორების № 000425019 ანგარიშზე, რაც აღნიშნული სამინისტროს გაუქმებისა და საგზაო დარგის საქართველოს რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსში შესვლის გამო შეცვლილია. ამიტომ ამ ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს მიზნობრივი ხასიათი აღარა აქვს.

სახელმწიფო გაერთიანება „საქავტოგზა" თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის ტერიტორიული დაქვემდებარების სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს აცნობებს საავტომობილო გზების მიზნობრივი ანარიცხების სპეცანგარიშის ნომერს — 426810570, სახელმწიფო კომერციული მრეწვმშენბანკი, კოდი 521921, რომელზეც უნდა ჩაირიცხოს ზემოაღნიშნული მიზნობრივი თანხები. ის თანხები, რომლებიც არ მოხვდება ამ ანგარიშზე, არ იქნება ჩათვლილი და გაერთიანება ასეთი ორგანიზაციებიდან ხელმეორედ უაქცეპტოდ გადაახდევინებს შესაბამის თანხებს სათანადო ჯარიმის დამატებით.

გარდა ამისა, სახელმწიფო გაერთიანება „საქავტოგზა" ამახვილებს იმ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების ყურადღებას, რომლებიც თავს არიდებენ საავტომობილო გზების შეკეთებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოებში ფულადი შენატანებით მონაწილეობას და არ იხდიან მიზნობრივ შენატანს, თუ 1 სექტემბრამდე არ გადაიხდიან ამ თანხებს, გამოყენებული იქნება ეკონომიკური სანქციები მთელი წლის გადაუხდელ მოცულობაზე 50 პროცენტამდე ჯარიმის დარიცხვით.

სპეცანგარიშის ნომერი იგივეა — 426810570, კოდი — 521921, სახელმწიფო კომერციული მრეწვმშენბანკი, ქ. თბილისი.

**ცნობებისათვის მიმართეთ: სახელმწიფო გაერთიანება „საქავტოგზა". თბილისი, გაგარინის ქ. № 29-ა, 380060.**

**ტელეფონები — 38-48-89, 37-68-16, 37-64-09.**

**ფირმა „ჰუმანიზმი" მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მოსამზადებლად და ავტომობილის მართვის მოწმობის მისაღებად აცხადებს მიღებას**

**თეორიული** და პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა როგორც დილის ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვე.

კურსებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა (ფსიხო), 3 ფოტოსურათი 3X4-ზე და პასპორტი.

**იჩქარეთ ჯგუფში სულ რამოდენიმე ადგილი დარჩა.**

**მისამართი: ახალქალაქის ქ. № 2. 82 პროფტექნიკურ სასწავლებელში. (მეტრო სადგურ ნაძალადევის უკან.)**

**დარეკეთ 14-დან 19 საათამდე.**
**ტელ.: 66-14-90.**

**თბილისის № 151 სავაჭრო სასწავლებელი**

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის. სასწავლებელი ამზადებს:**

1. სასურსათო საქონლის გამყიდველს
2. სასურსათო საქონლის მოლარე-კონტროლიორს
3. ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგს

მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ჭაბუკები. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით. ყველა კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა მიიღოს გამოცდები ჩააბაროს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. სასწავლებლის კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით საბაზო ორგანიზაციაში. სწავლის დრო (8-10 თვე) ითვლება უწყვეტ შრომით სტაჟად. რაიონებიდან ჩამოსულებმა უნდა წარმოადგინონ მომართვა ორგანიზაციებიდან. მსურველებმა დირექტორის სახელზე განცხადებას უნდა დაურთონ: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე. ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, უნივერსამი მე-2 სართული, ტელ.: 51-86-15; 51-95-64; ტრანსპორტი: ავტობუსები — 1, 53, 69, 60, 54, 84, 41; სამარშრუტო ტაქსი — № 7, 41, 44, 61, მეტრო — „დიდუბე".

**სასწავლებლის დირექცია.**

* * *

**საქართველოს** რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის სალიკვიდაციო კომისია აუწყებს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და პირს, რომ მათი განცხადებები და პრეტენზიები არ მიიღება 1991 წლის 10 სექტემბრის შემდეგ.

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

**მიმდინარეობს** ხელმოწერის მიღება რესპუბლიკურ, ცენტრალურ და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 1992 წლისათვის.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" სააგენტოებში (განყოფილებებში), ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან სამუშაო, სწავლის, ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში.

ხელმოწერა 1992 წლის იანვრიდან ჩაბარებით გაგრძელდება 31 ოქტომბრამდე.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოთა გამოცემებზე ხელმოწერა დაიწყება 1 სექტემბერს.

**პრესის გავრცელების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „სოიუზპეჩატი".**

* * *

**გთავაზობთ** მცირე ზომის დანადგარს ოზონატორს ზომა (150X150X300) მმ. შიდა სივრცეების დეზინფექციისათვის ხორცის ნაწარმის შენახვის გახანგრძლივებისათვის და მალშრობი ლაკირებული პროდუქციისა.

**მისამართი: ქ. ნოვომოსკოვსკი ტულის ოლქი დრუჟბის ქ. № 8. ნოვომოსკოვსკის მოსკოვის ქიმიატექნოლოგიური ინსტიტუტის ფილიალი მხტ.**

ტელ.: 4-79-65.

**კოოპერატივი „პლასტმასი".**

* * *

**გთავაზობთ** ორიგინალურ, მცირეგაბარიტის დანადგარს. სტატიკური ელექტრული მუხტის მოსახსნელად საწარმოში, პოლიმერული ლენტების (პლიონკის) გადამუშავებაში, ქსოვილებისა და ქაღალდის წარმოებებში.

**მისამართი: ტულის ოლქის ქ. ნოვომოსკოვსკი დრუჟბის ქ. № 8. ნოვომოსკოვსკის ფილიალი მხტ.**

**კოოპერატივი „პლასმასა".**

**საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"**

## ფოტორეპორტაჟი

# „ალო, 03"

**ხუთ** ათეულ წელზე მეტია, რაც არსებობს ქალაქ თბილისის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგური.

რამდენის სიცოცხლე გადურჩენიათ ამ ხნის განმავლობაში, რამდენი უძილო ღამეები უთენებიათ თეთრ ხალათიან ადამიანებს ამის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

ძნელია სასწრაფო დახმარების სამედიცინო პერსონალის ესოდენ საპასუხისმგებლო საქმიანობა. ისინი ხომ ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ეწევიან სამსახურს დღისით თუ ღამით.

გვესაუბრება ქალაქის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მთავარი ექიმის მოადგილე მანანა ბოსტოღანაშვილი.

სულ 130 ბრიგადაა სამედიცინო დახმარების სადგურში, ისინი განაწილებული არიან 13 სასწრაფო დახმარების ქვესადგურებში და საჭიროების შემთხვევაში მზად არიან სასწრაფო დახმარება აღმოუჩინონ მაცხოვრებლებს, ასევე მოახდინონ მათი ოპერატიული ტრანსპორტირება შესაბამის სტაციონარებში.

ზაფხულის პერიოდში დღე-ღამეში 1000-დან 1200-მდე, ხოლო ზამთარში 1800-დან 2200-მდე გამოძახებაა.

ჩვენი კადრები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, ისინი პერიოდულად სამუშაოდან მოუწყვეტლივ გადიან როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული ცოდნის ასამაღლებელ კურსებს ქალაქის ინსტიტუტებსა და რეანიმაციულ განყოფილებებში.

გვაქვს რეანიმობილის ტიპის სანიტარული ავტომანქანები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკითა და აპარატურით. ხოლო რაც შეეხება მძღოლებს მათი უმრავლესობა I და II კლასის სპეციალისტია.

ჩვენი სასწრაფო დახმარების ბრიგადა 15-20 წუთის განმავლობაში ქალაქის ნებისმიერ წერტილში შეძლებისდაგვარად დროულად უწევს სამედიცინო დახმარებას ავადმყოფს.

ვუსურვოთ სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის მედპერსონალს კვლავაც ჩვეული პროფესიონალური შემართებით ყოფილიყოს ხალხის სამსახურში და ის პრობლემები, რომლებიც მათ ხელს უშლის უკეთ მოემსახურონ ხალხს, მალე გადაჭრილიყოს.

* * *

**სურათებზე: „ალო-03"; ცენტრალური ქვესადგურის ევაკუატორი დიანა კუძიევა; მორიგ გამოძახებაზე ექიმი ნუგზარ ხობეზაშვილი, მედ. ექთნები როზა ვაშაკიძე და პავლე კაზალიკაშვილი; რაც შეიძლება სწრაფად; ექიმი ნუგზარ ხობეზაშვილი ავადმყოფთან; განიცდის მძღოლიც ოთარ ნაცვლიშვილი.**

**თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტორეპორტაჟი.**

## სპორტი

# აგრესიული სტუმრები

**21 აგვისტოს** დამთავრდა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის. ამ დღეს თბილისში „შევარდენი-1906" სოხუმის „ცხუმს" მასპინძლობდა. მატჩი სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ გოლი მხოლოდ შეხვედრის დასასრულს გავიდა. გიგაშვილმა ისარგებლა თბილისელთა საჯარიმოში შექმნილი სიტუაციით და ძლიერი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. აღსანიშნავია „შევარდენის" კარის დარაჯის ღოლიძის კარგი თამაში. სწორედ მას უნდა უმადლოდნენ თანაგუნდელები, რომ დიდი ანგარიშით არ დამარცხდნენ.

ამ ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა თბილისში, სადაც საქართველოს ორგზის ჩემპიონი „იბერია" ლანჩხუთის „გურიას" მასპინძლობდა. ორივე გუნდი საუკეთესოა ჩემპიონატში, ამიტომაც მათი შეხვედრები მუდამ დაძაბულად და უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს, მაგრამ ამ დღეს სტუმრებმა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწიეს წინააღმდეგობა თბილისელებს. მთელი მეორე ნახევარი „იბერიამ" დამაჯერებლად ჩაატარა და გაიმარჯვა კიდეც 4:2. გოლები გაიტანეს შ. არველაძემ, ყაველაშვილმა, რევიშვილმა, ინალიშვილმა („იბერია"), ლანჩხუთელთაგან თავი გამოიჩინეს კორძაიძემ (თერთმეტმეტრიანით) და ფრიდონაშვილმა. ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრა ინალიშვილმა და არველაძემ, რომლებიც „იბერიელთა" თითქმის ყველა შეტევის ორგანიზატორები იყვნენ.

მეორე ტურში დიდი ანგარიშით დამთავრდა სამი შეხვედრა, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მატჩი სტუმრებმა მოიგეს. წყალტუბოში „სამგურალი" დაამარცხა უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტმა თბილისის „მრეტებმა", რომელმაც სეზონის გახსნის მატჩშიც „იბერიასთან" ურიგოდ არ ითამაშა. ამჯერად მათ გასვლით მატჩში ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანეს წყალტუბოელთა კარში. თავი გამოიჩინეს ოჩიაშვილმა, ქინქლაძემ (2 ბურთი) და ტყავაძემ. ამ შეხვედრაში მსაჯმა მინდორი დაატოვებინა წყალტუბოელ ვ. მუშკუდიანს.

რუსთავის „გორდამ" ასევე 4:0 მოუგო გასვლით მატჩში ოზურგეთის „მერცხალს". ტრადიციული მეტოქეების: ხონის „კოლხეთისა" და ზუგდიდის „ოდიშის" შეხვედრაც სტუმრებმა მოიგეს — 4:1.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დილა" (გორი) — „ალაზანი (გურჯაანი) 2:0, „მზიური (გალი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 2:1, „სულორი" (ვანი) — „ბათუმი" (ბათუმი) 2:1, „სამტრედია" (სამტრედია) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 1:0, „ქუთაისი" (ქუთაისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0.

ჩემპიონატში ორი შეხვედრიდან ორივე მოიგეს რუსთავის „გორდამ", „ქუთაისის „ქუთაისმა", თბილისის „იბერიამ", სოხუმის „ცხუმმა" და გალის „მზიურმა" და გათამაშების ცხრილს სწორედ ეს ხუთი გუნდი უდგას სათავეში.

## წერილი რედაქციას

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

**ბატონო რედაქტორო!** საქართველოში იბეჭდება და ხელშეუშლელად გამოდის როგორც ბოლშევიკური, ისე მენშევიკური პრესა, ხოლო ილიასეული „ახალი ივერიისათვის" არც ადგილია და, რაც მთავარია, აღარც ქაღალდი. სამი კვირაა ჩვენი ყოველკვირეული გაზეთი აღარ გამოსულა. მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდის ფონდი გვაქვს, იგი რეალურად ჩვენთვის არ არსებობს. არც შესაბამისი ორგანოდან (მომარაგების სამინისტრო) ისმის ხმა.

პატივისცემით
**სოლომონ ხუციშვილი.**
გაზეთ „ახალი ივერიის" რედაქტორი
28 მარიამობისთვე, 1991 წ.

მთავარი რედაქტორი **მამუკა ფაჩუაშვილი**

**მისამართი:** 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
**ინდექსი 64434**

საქართველოს რესპუბლიკა